

K 10181  
1

წიგნი



ადექსანდრე ყაზბეგი  
ბათუმში

1268

899.962.1.09

ბ 595 ა.

811

ბ 595

კლიმენტი გოგინავა

811


ბ 595

# ადექსანდრა ყაზბეგი ბათუმში

18101

18101

საბჭოთავო  
მეცნიერებათა




აზარის ახსრ სახელმწიფო გამომცემლობა

ბათუმი

1948

5 09



„...და შემოვალ  
საქართველოს კარებში დიდებით“.

როცა ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმს ვათვალიერებდი, მრავალ საინტერესო ექსპონატთა შორის თვალში მომხვდა მეფე გიორგი XII ბრძანება გაბრიელ ყაზბეგისადმი.

მწერლის წინაპრები ნამდვილი ქართველი მებატონეები იყვნენ და რუსეთის თვითმპყრობელობას გულმოდგინედ ემსახურებოდნენ. ალექსანდრეს პაპა გაბრიელი დარიალის კართან ეღდა საქართველოს და რუსეთიდან დაძრულ მეფის მოხელეებს პირველად ის ხედებოდა ქართული პურმარილის სიუხვით.

მეფე გიორგის ბრძანებაც ერთ-ერთ ასეთ შეხვედრას შეეხება. იგი სწერს: „ჩვენი ბრძანება არის, ყაზბეგისმივლო გაბრიელ!.. რომ მომავალი რუსის ჯარისათვის მარხილი და საპალნიანი ცხენები უნდა გამოგზავნო. ეს მარხილები და ცხენები რომ მოგივიდეს, შენ უნდა გაუძღვე და ლარს მიიყვანო და უფალს ღენერალს გულენკოვსთან, და რაც იმათი ბარგი იყოს, უნდა რიგიანად მოატანინო. როგორც შენი ერთგულებისაგან ვიცოდეთ, ამ საქმეზე ისე ბეჯითად უნდა მოიქცე და შენის გარჯის მაგიერს წყალობას ჩემგან მიიღებ“.

გაბრიელი ხევის მოურავი იყო. მას მალე გენერლის ჩინი ებოძა და ამის შემდეგ თავისი ნამდვილი გვარი ჩოფიკაშვილი ყაზბეგად გადაიკეთა. ალექსანდრეს მამა მიხეილი გაბრიელის უფროსი შვილი იყო.

ალექსანდრე ყაზბეგის ოჯახის ახლობელი ნათესავი ელისაბედ ყაზბეგი თავის მემუარებში მწერლის მამის ზუსტ სურათს იძლევა. „ალექსანდრეს მამა მიხეილი, კარგად მდიდრულად, ევროპულად მოწყობილ სახლში, პურმარილს უხვად ჰყვინდა; ეტლები, შესაბამილი ცხენები, მრავალი მხლეობლები, იმისი სურვილის აღმასრულებლები იყვნენ. რაღა თქმა უნდა, რომ ამგვარი ოჯახის მოწყობილობა და ფუფუნება პატრონს დიდი ბატონის ელფერს სდებდნენ. როგორც შეიტყობდა, რომ რომელიმე დილკაცი ჩვენის გზით გავლას აპირებსო, მაშინ მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნდა, რომ არ დაეპატიჟნა. არც ერთი ნამესტნიკი არ აც“



დებოდა იმის სახლსა, და ხელმწიფეების გავლა-გამოვლის დროს ხომ სულ მოსვენებას დაჰკარგავდა ხოლმე. ნიკოლოზ I, ალექსანდრე II, დიდი მთავარი მიხეილი თავისი მეუღლით და ყველანი, ვინც იმის სიცოცხლის დროს საქართველოში მობრძანდნენ, ყველას თავგამოდებით უხვდებოდა და ისინიც პურმარილს მოწყალე-ბით მიიღებდნენ ხოლმე“.

ალექსანდრე ბატონკაცურად იზრდებოდა, მაგრამ ამ აღზრდას მისთვის შესაფერი გავლენა არ მოუხდენია. პირიქით დიდი მწერალი თავის ბავშვობის დღეებს მწარედ იგონებს. ის არაარად აგ-დებს იმ ფუფუნებას, რომელშიც იზრდებოდა. „მევიდნენ ისე, როგორც ძეფის შვილს, მანებვირებდნენ უკანასკნელ გარყვნილ-ბამდისო“, სწერს იგი.

ალექსანდრე ყაზბეგის მშობლები როგორ იფიქრებდნენ, რომ თავიანთი შვილი რუსეთის ხელმწიფეს, რომელსაც ისინი ასე თავ-გამოდებით ემსახურებოდნენ, წინ გადაუდგებოდა და შეებრძო-ლებოდა. ი. ლუდუშაური ამის შესახებ თავის შესანიშნავ მოგო-ნებაში სწერს: „აღ. ყაზბეგი მართლაც მოუთმენლად ელოდა გლეხების გამარჯვებას, გლეხის კისრიდან მონობის უღლის ახსნას, იგი იყო მოუსვენარი მტერი ძველი მთავრობისა და ჩინოსნებისა. ერთხელ, მუშაობის დროს, როდესაც თავის ნაწერებს ერთ და მთლიან წიგნში მასწერიებდა, შევიდა ლენერალ გ. ყაზბეგის ოთახ-ში, სადაც რუსეთის ხელმწიფის სურათი კედელზე ეკიდა, ჩამო-ლო, გამოიტანა ჩვენს სამუშაო ოთახში, ლანძღვა-გინებით და ფურთხილით, გადმოაბრუნა სურათი და უკან მხარეზე დააწერა შემდეგი:

დავწვი შენი სამართალი,  
შენი კანონ-დებულება,  
შენი აზრი, მოფიქრება,  
შენი მირონ ცხებულება“.

ალექსანდრე ყაზბეგი ბუნებით მდაბიო ხალხის მოტრფიალე იყო და ასეთიც დარჩა ბოლომდის. მოსკოვში გატარებულმა სტუ-დენტობის წლებმა მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა. იგი დაუ-ხლოვდა რევოლუციურად განწყობილ სტუდენტებს და მათს ფიქრსა და განცდებს ეზიარა. აქ მას ჰქონია კარგად მოწყობილი ბიბლიოთეკა, იგი ბევრს მუშაობდა თავის თავზე, იმუშავებდა მსოფლმხედველობას და, შეიძლება ითქვას, ყალიბდებოდა როგ-ორც მწერალი. აღ. ყაზბეგი ერთ ბარათში დედასა სწერს: „მე თითონ არა მქონდა ჩემი თავის იმედი, რომ ამოდენა ჯდომას შეე-ძლებდი და ჩემი დაუდგარი ფეხები სიარულს დაიშლიდნენ“.

მოსკოვში მან მიიღო საკმაო თეორიული მომზადება, გამოიყენა მუშავედა გარკვეული მსოფლმხედველობა და მოემზადა სამწერლო სარბიელზე უფრო ფართოდ გამოსვლისათვის. როგორც ცნობილია, ყაზბეგი ჯერ თოთხმეტი წლისა იყო, როცა იღია ჭაჭყავაძეს წარუდგინა პირველი ნაწარმოები. მოსკოვში დიდ თეორიულ მუშაობასთან ერთად მან თავისი სალიტერატურო საქმიანობა კიდევ უფრო გააღრმავა. აქ მან სთარგმნა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, გრიბოედოვის „ვაი ჰეტისაგან“, ლერმონტოვის ლექსები და დასწერა ორიგინალური მოთხრობაც.

მოსკოვიდან დაბრუნებისთანავე ალექსანდრე ყაზბეგმა იგრძნო, რომ მას არა აქვს წინასწარ გამიზნული თხზულებების შესაქმნელად ცხოვრების ღრმა ცოდნა. არა კმარა მართო მოსკოვში მიღებული განათლება, საჭირო იყო იმ წრის, იმ ადამიანების სულიერ სამყაროში ღრმად ჩაწვდომა, რომლის მხატვრულად განსხეულებას ის ფიქრობდა. ამიტომ, უფრო ღრმად რომ განეცადა მთელთა ბედი და უბედობა, მწყემსების საინტერესო, მაგრამ ხიფათებით სავსე ცხოვრება, ის ცხვარში წავიდა. ამის შემდეგ ალექსანდრე ყაზბეგი სწერს: „მე 18... წელს, გადავწყვიტე მეცხვარეობა დამეწყო, და ამ ხელობის შემწეობით, მომეგლო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი, და გამომეცადა ის შიში და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუშორებლივ თანა სდევს. მე თითონ, როგორც მთის კაცს, მყავდა რამდენიმე ცხვარი, ცოტაოდენი კიდევ ზოგიერთ მიწებში გაცვლით მოგავროვე; მივუშუტე ჩემს ფარას, ავიღე ჯოხი და თოფი, და აშგვარად შევიქეინ მეცხვარე.

რასაკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი, ყველამ, განუჩვენებლად ყველამ მასხარად აიგდო, რადგანაც ამბობდნენ, რომ მეზატონეს და მასთან სახელიანი კაცის შვილს უბრალო მეცხვარეობა არ ეკადრებო, მაგრამ მე ჩემი მიზანი იქონდა, ჩემი სურვილი, და ეს იქამდე ძლიერი იყო, რომ არავითარ რჩევას ყური არ ვუზღე; მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემს თავზე გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაჭირვება, რომელიც უკან სდევს მუშა ხალხს, და რაღა დამაყენებდა შინ. მივალწიე ჩემს მიზანს, დაეთახლოვდი, გავიცან ისინი, ვისიც გაცნობა და დაახლოვება ისე გულით მსურდა“.

შვიდი წლის განმავლობაში ის დადიოდა მთასა და ბარში, მეცხვარის გრძელი კომბლით დასდევდა ფარას. ამ ხნის მანძილზე მომავალმა მწერალმა საფუძვლიანად გაიცნო არა მართო მეცხვარეობის, არამედ მთისა და ხევის ადამიანთა ცხოვრება და სულიერი სამყარო. ძნელი მოსაძებნია მეორე მწერალი, რომელსაც ესო



ღენი წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა ჩაეტარებინოს თავს მომავალ თხზულებათა შესაქმნელად.

ალექსანდრე ყაზბეგი მოსკოვიდან დედასა სწერდა „...და შემოვალ საქართველოს კარებში დიდებითო“. მართლაც მას მოსკოვიდან ჩამოჰყვდა დიდების მაძიებელი სული. იგი ჩამოვიდა მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ მწერლობის ფართო გზაზე გამოსულიყო. ეს იყო ნამდვილი დიდება და ამ მიზნის მისაღწევად აქი კიდევაც გასწირა თავი. მისი შფოთიანი და ტანჯვით საესე ცხოვრება ძალიან ჰგავს თავის თხზულებათა გმირების განაწამებ ყოფას.

ალექსანდრე ყაზბეგმა წერა ბავშვობიდანვე დაიწყო, მაგრამ ნამდვილ შემოქმედებით ცხოვრებას იგი ეწეოდა მას შემდეგ, რაც მცესვარეობას დაანება თავი და მწერლის მაგიდას მიუჯდა. აქ საგულისხმოა ერთი დეტალი, რომელიც ლაპარაკობს ალ. ყაზბეგის დიდ კულტურაზე. როცა ის მწყემსი იყო, მთაში გადაეყარა ფრანგ კომერსანტებს, რომლებსაც თავიანთ მშობლიურ ენაზე დაუწყო საუბარი. კომერსანტები ფიქრობდნენ ველურ ხალხში ვართო და აქ უცებ ნაბადმოგდებული მწყემსი ფრანგულად გამოელაპარაკა! ისინი გაოცდნენ. ა. ყაზბეგი ისე თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულად, რომ მან შემდეგში მრავალი ფრანგი მწერლის პიესა სთარგმნა.

1880 წლიდან იწყება მწერლის ფართო შემოქმედებითს გზაზე გამოსვლა. ყველაფერი, რაც კი ღირსშესანიშნავია მის თხზულებებში, შექმნილია ექვსი წლის განმავლობაში. მან ოთხმოციან წლებში დაბეჭდა „მოხვევები და მათი ცხოვრება“ და ამ ბედნიერ ნაწარმოებს მოჰყვა: „ციცკა“, „ელგუჯა“, „გადაკარგული მხარე“, „მამის მკვლელი“, „ფათი“, „ჩინოვნიკი ელურიძე“, „ელბერი“, „ელისო“, „ნამწყემსარის მოგონება“, „ნინო“, „ბერდია“, „ბედშავი“, „ციცია“, „ციკო“, „წამება ქეთევან დედოფალისა“, „ხევისბერი გოჩა“, „ელეთორა“, „განკიცხული“ და „მოძღვარი“. აი ყველაფერი ის, რაც დაბეჭდა. მაგრამ მისი არქივი შეიცავს კიდევ ბევრ საინტერესო მასალას, რომელიც საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში ქართველი ხალხის ნაციონალური ხასიათის საუკეთესო თვისებებმა წარუშლელი ძალით ჰპოვა გამოხატულება. ყაზბეგის საუკეთესო გმირები—ეს ის ადამიანები არიან, რომელთა მთელ სიცოცხლეს აზრს აძლევს გმირობა და ვაჟკაცობა, სამშობლოსადმი თავდადება, პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა, ჰუმანიურობა და თავისუფლებისმოყვარეობა. ამიტომ შეიყვარა ასე მგზნებარედ ქართველმა ხალხმა მწერლის

მოთხრობები და რომანები და იგი მიაკუთვნა ჩვენი კლასიკური ლიტერატურის უდიდეს წარმომადგენელთა რიცხვს.

ალექსანდრე ყაზბეგი ხალხთან სამსახურისა და ხალხის ინტერესების გამოხატვის შესახებ, თავის ერთ-ერთ მოგონებაში სწერს: „დღემდის მე მომეტებულად ვწერდი მოთხრობებს მთის ცხოვრებიდან და ვცდილობდი დამეხატა ის წმინდა ჩვეულებანი, ადათები და წესები, რომელიც ხალხის გონებაში მიიღო და დაადგინა თავიანთ ერთობაში. ოდესმე, ყოვლად შეუძლებელია, რომ ჩვენის ცხოვრების პირობათა, თავიანთი დასაწყისი ამ წარსულიდან არ მიიღოს; მე ვცადე ამ წესებთან გამეცნო ხალხი, გამეგებინებინა რა გავლენა ჰქონდა ხალხზედ, და რამდენად შეიძლებოდა მათის ხელმძღვანელობით ურთიერთ-შორისი მორიგება, ცხოვრება და დამოკიდებულება. მივმართე მათი ხელის-შემშლელ მიზეზებს და მათი აწმყო მდგომარეობის გამოხატვა ვისურვე. მე მესმის ამგვარი შრომა, ამგვარი მოთხრობა და ვალიარებ ამათ სარგებლობას. ეს იყო მიზეზი, რომ ასე ერთგულად ვმუშაობდი“.

იგი მართლაც ერთგულად ემსახურებოდა ქართველ ხალხს და მის ლიტერატურას. მწერლის ეს სამსახური მხოლოდ ახლა, ჩვენს აყვავებულ ხანაში იქნა სათანადოდ გაგებული და შეფასებული.

მწერლის ბიოგრაფიის შესავსებად, გარდა ზემოთ თქმულისა, უადგილო არ იქნება მივმართოთ კიდევ რამდენიმე დეტალს. აი როგორ ახასიათებენ ალექსანდრე ყაზბეგს ქართველი მწერლები. სოფრომ მგალობლიშვილი—ყაზბეგის ახლო მეგობარი—თავის მოგონებაში ასე გვიხატავს მწერალს: „სანდრო ხასიათით იყო წყნარი, ტკბილი მოსაუბრე, მეგობრისათვის თავგადამკვდარი, დიდი მოტრფიალე სამშობლოსი, თავისი ენისა და ერისა. უნდა გენახათ, რანაირად აღფრთოვანდებოდა, თითქოს გაიზრდებოდა, როცა თავისი სამშობლოს სიკეთეს გაიგებდა, თუ გამოჩნდებოდა ვინმე სამწერლო ასპარეზზე. როგორ ეალერსებოდა ვაჟსა ლექსებს, რა ალტაცებით იხსენიებდა!“

დავით კლდიაშვილი, რომელიც თავის მემუარებში ვრცლად შეეხო ყაზბეგის ცხოვრებასა და შემოქმედებას, სწერს: „როცა მაღალი ცეცხლით აენთებოდა სანდრო, იგი უცნაური დასანახავიც იყო და გატაცებული, აღელვებული მოლაპარაკე და ამ დროს მისი მნახველი ჩახვდებოდა მის დიდ ნიქსა და ტალანტს“.

ისტორიული რომანების დიდი ოსტატი, ვასილ ბარნოვი განუთ „ქართულ სიტყვაში“ სწერს: „მის საუბარში გატაცება მატყვევებდა მე, თავდავიწყება. დაიწყებდა რაიმე საგანზედ, აწმყო ცხოვრების თუ წარსულის კადონზედ აღმოჩენილ რამ შემთხვევაზედ და თანდათან ცეცხლს დასძენდა იგი თავის თქმას; ემხს უმა-



ტებდა. ფართოვდებოდა ამბის არე, გარდიშლებოდა: გარდატეხდ მისი სიტყვა სინამდვილის რკალს და ნავარდს უვლიდა, ზე აღვი-  
ლოდა; დაიწყებდა ოცნებათა სანახებში მიმოფრენასა. იფურჩქნე-  
ბოდა ჭადოსანი სიტყვა ქართული. გარდიშლებოდნენ გონებაში  
ლანდთა დასები, სიცხოველით რომ უდრიდნენ რეალობას“.

\* \* \*

ალექსანდრე ყაზბეგი—ქართული სიტყვის ეს უდიდესი ოსტა-  
ტი—დაიბადა სოფელ სტეფანწმინდაში (ყაზბეგში) 1848 წლის 8  
იანვარს. მან იცოცხლა მხოლოდ 45 წელიწადს და 1893 წლის 10  
დეკემბერს თბილისში გარდაიცვალა, მაგრამ, „ივერიის“ მოსწრე-  
ბული თქმით, მას სიკვდილის ხელი არ შეხებია.

ქართველი ხალხის გულისთქმას მშვენივრად გამოხატავდა  
„ივერია“, როცა სწერდა: „გარდაიცვალა! მაგრამ ვინ მოიგონა ეს  
სიტყვა? უკვდავთან სიკვდილს რა ხელი აქვს? ორჯერ დაბადე-  
ბულს, ღვთიურის მადლით ცხებულს ერთი სიკვდილი ვერას  
უზამს. ყაზბეგი—კი მეორედ მაშინ დაიბადა, როდესაც თავისი  
ნიჭიერი კალამი უძღვნა ქვეყანას, დაიბადა ისე, რომ მისი აკვანი  
ყოველთვის ქართველის გულში ირწეოდა. ასეთ აკვანში გამოზრ-  
დილს ადამიანს კი სიკვდილის ხელი ვერ შეეხება“.

ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალებამ დიდი სახალხო გლოვა  
გამოიწვია. მთელი საქართველო ფეხზე დადგა. ყველა მისტიროდა  
დიდი მწერლის დაკარგვას. ცხრა დღის განმავლობაში ყოველ დღე  
იხდიდნენ პანაშვიდს. მიუხედავად ცუდი ამინდისა, პანაშვილზე  
მომსვლელთ ქუჩები ვერ იტევდნენ.

ვაჟა-ფშაველამ, რომელიც ალექსანდრე ყაზბეგთან ახლო მე-  
გობრულ ურთიერთობაში იყო, ყველაზე მწვავედ იგრიძო მისი  
უდროოდ დაღუპვა და მეტად ამბიელეგებელი ლექსი მიუძღვნა.

„შვილო ტანჯულის ქვეყნისაც,  
სული დაპლიე ტანჯვითა...  
მიუხვალ მამა-პაპათა  
ამოღებულის ხანჯრითა,  
ცრემლად დამდნარის გულითა,  
დაღლილი მტრისა ჯავრითა  
ჯავრი ტანს ნაბლად გეხვევა,  
ცრემლი მოგყვება საგძლადა



და ტრფობა შენის ქვეუნისა  
უქმს და ხელ-უყრელს აბჯრადა.  
თავს დამული ეკლის გვირგვინი  
ფეხთ წინ დაუგდე გამირებსა,  
მამულისათვის გამწყდართა  
იმ საქართველოს შვილებსა.  
ცოცხლად იმედით მცხოვრებო,  
გთხოვ, იმათაც სცე ნუგეში!  
პირობა ქართველებისა,  
ვგონებ, მოგყვება უბეში!  
უჩვენე შენი კალამი,  
ნაწები სისხლის გუბეში!”



აჭარამ ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებასა და შემოქმედებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის ბუნებამ მწერალი შთააგონა ფართო შემოქმედებითი ტოლოების შესაქმნელად. ყაზბეგმა სცადა დაეწერა აჭარელთა ცხოვრების ამსახველი მითხრობები და პიესები. მის მდიდარ არქივში მრავალი ხელნაწერია დაცული, რომელშიც დიდის სიყვარულით და მაღალმხატვრული ოსტატობით აღწერილია შავი ზღვა და ბათუმის მიდამოები.

გარდა წმინდა შემოქმედებითი საქმიანობისა, ყაზბეგი ბათუმში დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. ცნობილია, რომ ყაზბეგი ბათუმში ჩასვლისთანავე დაუკავშირდა ადგილობრივ მასწავლებლებს, გაეცნო აჭარელთა სწავლა-განათლების მდგომარეობას.

იმ წელს, როცა ყაზბეგი აჭარაში მოღვაწეობდა, ოფიციალურად არსებობდა შემდეგი სკოლა: საქალაქო სასწავლებელი, ქალეზის პროფესიონური სკოლა, ბერძნული სკოლა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასწავლებელი. აქედან, როგორც ჩანს, ყველაზე უმწეო მდგომარეობაში ყოფილა ეს უკანასკნელი. ამის შესახებ ერთ-ერთ კორესპონდენტს „ივერიაში“ მკაცრი წერილი მოუთავსებია.

ალექსანდრე ყაზბეგი აღუშფოთებია ამ წერილს. იგი ვრცელ პასუხსა სწერს „ივერიის“ რედაქტორისადმი. ამ პასუხში ყაზბეგს მოჰყავს კორესპონდენტის სიტყვები:

„ბათუმის სკოლის ბედ-იღბალი უნდა გადაწყდეს. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სძინავს და სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობათ“.

ყაზბეგი არ ეთანხმება კორესპონდენტს და არც მისი კრიტიკის ტონი მოსწონს. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე იგი დიდ იმედებს ამყარებდა და კორესპონდენტის კრიტიკას ძალიან აუღელვებია. მწერალი თავგამოდებით იცავს ამ საზოგადოებას და ამავე დროს გაკვირვებულია იმით, თუ როგორ მოათავსა ეს კორესპონდენცია გაზეთმა.

თავისი წერილის დასასრულს ყაზბეგი სწერს:

„გვჯერა და გვწამს ჩვენი მოძმის სიტყვა და მით უფრო უნდა ვერწმუნოთ სიმართლის და მოვალეობის მოსამსახურე ბეჭდვითი სიტყვას“.<sup>1</sup>

ყაზბეგს ღრმად ჰქონდა შეგნებული ბეჭდვითი სიტყვის სიყვარული და დანიშნულება, მისი ძალა და ცხოველმყოფელობა. ამ სიყვარულმა მიიყვანა იგი „ივერიის“ რედაქციაში მუდმივ თანამშრომლად. ამის შესახებ ცნობილი ქართველი ჟურნალისტი დავით მესხი თავის მოგონებაში სწერს:

„მე და სანდროს საცხოვრებელი ბინაც რედაქციაში გვქონდა და, აი, სწორედ ამ დროს დაიწერა და დაიბეჭდა კიდეც „ელისო“, „ელგუჯა“ და სხვ. ვიმეორებ—თუ ისეთი რამ დროული საგაზეთო მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, მაშინ, სანდრო თავისუფალი იყო. ხოლო, როცა ასეთი მასალა გვისუსტებდა, ანდა ცენზორის წითელი მელანი უღმობლად გადახაზავდა ხშირად ვრცელს წერილსაც, მარქაფად სანდრო გვყავდა... ჩაუჯდებოდა, ჩვენც ვუცაყხანებდით, თავს კიდეც გზირი—ასოთამწყობი ადგა, ფარატინს ფარატინაზე აჭრელებდა თავისი დიდი მოთხრობებისას, და ასეთი ნაწყვეტები სტამბაში ხშირად გადაუკითხავადაც იგზავნებოდა. ხშირად ვეტყვოდი ხოლმე:

— სანდრო, კაცო არ დაგვღუპო, მოთხრობა მალე არ გაათავო!...

— რა გინდათ, რა ვქნა! თუ ამას მოვრჩები, სხვა ვეღარ დავიწყე! იტყოდა ხოლმე“.

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ ბათუმის სკოლას. ამ სკოლის მუშაობის გაუმჯობესებისა და მისი მატერიალურად უზრუნველყოფის მიზნით ა. ყაზბეგი ახლოს გაცნობია სკოლის ბიუჯეტის მდგომარეობას და აუცილებლად დაუნახავს მის სასარგებლოდ ფასიანი საღამოს მოწყობა. ამ საღამოზე იგი ცეკვავდა და ჭიდაობდა კიდეც. აი, რას სწერს ამის შესახებ თვითონ ალექსანდრე ყაზბეგი ილია ჭავჭავაძის:

„რამდენიმე პირმა ზედვე ადგილზედ ვინახულეთ ბათუმის სკოლა, გამოვიკითხეთ, გავიცანით და შევიგნეთ მისი საჭიროება. ფაქტებმა დაგვიმტკიცა, რომ სმეტაში მოყვანილი ფული არა ჰყოფნის ამ სკოლას და დანიშნულიც—ისე ნახტომ-ნახტომად ეგზავნება, რომ თუ არ მოცადინეობა მასწავლებლებისა, სკოლა მოისპობოდა... სკოლის მოსწავლენი შეუძლებელნი არიან. მრავალთ არა აქვთ საკმაო რვეულები, წიგნები და წერა-კითხვის შესას-

1. საქართველოს სახ. მუზეუმის ხელნაწერების ფონდი № 3992.



წავლი საშუალებანი. მანდედან გამოგზავნილი არ ჰყოფნის და გადაწყვეტით გვეშოვნა ფული. ჭიდაობა გაიმართა არა თქვენის მართველობის სახელით. ბილეთები კასის გარეთ არ გაგვიყიდა და ძალად თავზე არავისთვის არ მოგვიხვევია. და შემოსავალი ბათუმის მასწავლებლებისათვის გადაგვიცია მინდობილობით საზოგადოების (ლაპარაკია წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე—კ. გ.) დამოუკიდებლად, საქმის გასაადვილებლად და მიზნის მალე მისაღწევად“.<sup>1</sup>

თვითონ ალექსანდრე ყაზბეგი მაშინ ძალიან ხელმოკლედ ყოფილა. მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც დიდ ზრუნვას იჩენდა საზოგადოებრივ საქმეზე. იგი ჭიდაობას მართავდა მოწაფეთა სასარგებლოდ. ეს მაშინ, როცა საწერი ქალაქის შესაძენი ფული არ გააჩნდა. ილია ჭავჭავაძისადმი ეს ზემოდ მოყვანილი წერილი სამ ნაკუწ ქალაქზე დაწერილი. გვერდზე ყაზბეგს შემდეგი შენიშვნა მიუწერია: ბატონო ილია, ბოლოში რომ ნაკუწ ქალაქზე ეწერ. არ იფიქრო, რომ ბათუმში ქალაქი არ იშოვება, ან ძვირი იყოს. პირიქით, აქ ქალაქი შედარებით იაფია, მაგრამ ამ იაფსაც ხომ ყიდვა უნდა.

ამ საღამოზე სამოცდა ექვესი მანეთი შემოსულა. ამ თანხას მიტემა-მოთქმა გამოუწვევია. ალ. ყაზბეგი იძულებული გამხდარა ილია ჭავჭავაძისათვის, როგორც საზოგადოების თავმჯდომარისათვის, წერილობითი ახსნა-განმარტება მიეცა და ამით გაეფანტა ბოლოტი ენების ჭორები.

ბათუმის ეს სკოლა შედარებით უყურადღებოდ იყო მიტოვებული. მასში ასობით აჭარელი სწავლობდა თავის მშობლიურ ქართულ ენას, ეცნობოდა მეცნიერებას და ამიტომ მაშინ უკვე ცნობილმა მწერალმა, ალექსანდრე ყაზბეგმა, თავისი გულისყური სწორედ ამ სკოლისაკენ მიმართა.

დავით კლდიაშვილი ამ სკოლის შესახებ თავის მემუარებში სწერს:

„ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქართული სკოლა... გახსნილი იყო ბათუმის შემოერთების მეორე წელსვე იმ მიზნით, რომ აქ თავი მოეყარათ და ესწავლებინათ ქართულ მუსლიმანების ბავშვებისათვის. სკოლა იყო მოთავსებული პაწაწინა სახლში, მეტად ღარიბულად და საწყლად“.

როგორც ცნობილია, ყაზბეგს ჭიდაობასა და ცეკვაში ბადალი არა ჰყავდა. მისი მოხეტყურად ცეკვა მაყურებელს იტაცებდა. სოფ. მგალობლიშვილი თავის მოგონებაში სწერს, რომ ყაზბეგი იყო

1 იქვე, № 3977.

„შესანიშნავი მოცეკვავე მოხვეურად. ის... გასაოცრად ატრიალებდა ხანჯლებს, თვალბრუნებით მიიბიზებდა და ისე გაფრინდებოდა სცენაზე, როგორც მერცხალი...“ დავით კლდიაშვილი დასძენს, რომ ყაზბეგი „ლეკურის გასაოცარი მოთამაშე იყო. უცნაური ლამაზი რამ იყო მისი თამაში ორი ხანჯლით,—მაყურებელს თან ხიბლავდა მისი სიძარდე, თან შიშს ჰგვირიდა, „სანდრო, თუ კაცი ხარ, თავი გაანებე მაგ ხანჯლებით თამაშს,—ფეხებს დაიჭრი ერთ დღეს და ეს იქნება“, ვეუბნებოდი ხოლმე, რაზედაც იგი მხოლოდ სიამოვნებით იცინოდა“.

ამიტომ დიდძალი ხალხი დასწრებია ბათუმში სკოლის სასარგებლოდ ყაზბეგის მიერ მოწყობილ საღამოს.

ბათუმის ზემოთ აღნიშნულ სკოლასთან ქართველ მოღვაწეებს განუზრახავთ წიგნების გამავრცელებელი ბაზის მოწყობა. ამისი მოთავე ყოფილა ალექსანდრე ყაზბეგი, რომელიც ამ ბაზის მოსაწყობად საჭირო სახსრებს აგროვებდა თურმე. ამის შესახებ 1886 წელს ცნობილი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, ერთ-ერთ თავის გამოუქვეყნებელ წერილში, ნიკოლოზ ყიფიანს სწერს: „ბათუმის სკოლასთან განვიძრახეთ დავაარსოთ ქართული წიგნების საწყობი და გავავრცელოთ აქ ხალხში. ამას, რასაკვირველია, ფონდი უნდა. ამ ფონდისათვის გთხოვთ გადასცეთ, თუ შეიძლებოდეს ყაზბეგს ან ნათაძეს ის ორი თუმანი ფული“.

ეს დიდი მწერალი, „ელოფუჯას“ და „ხევის ბერი გოჩას“ ავტორი, ცეკვავდა ხანჯლებით, ჭიდაობდა, მხოლოდ იმისათვის, რომ ორიოდე გროში ეშოვნა და ბათუმის სკოლისათვის, რომელშიც საქართველოს მომავალი თაობა იზრდებოდა, ხელი გაემართა.. ანდა წიგნების ბაზისათვის შემოწირულება ეთხოვნა, რათა აჭარელთა გულში თავიანთი მშობლიური ლიტერატურისადმი სიყვარული კიდევ უფრო გაეღვივებინა.

ამისათვისაც იბრძოდა ალექსანდრე ყაზბეგი ამ სამოცდა ორი წლის წინათ



III

მაგარ ყდიან საერთო რვეულს ზოგიერთი ფურცელი გაჰყვით  
თლებია. მასში სამწუხაროდ მხოლოდ ცამეტი გვერდია შევსებუ-  
ლი, შავი, წვრილად გამოყვანილი ასოები კარგად გასარჩევია.

ავტორს ბევრი უფიქრია იმისათვის, რომ ყოველი სიტყვა თა-  
ვის ადგილას ყოფილიყო. წაუშლია და დაუწერია, ისევ წაუშლია,  
ისევ დაუწერია და ასე ალბათ დიდხანს, დიდხანს უწვალებია შე-  
მოქმედების ძალას.

ეს რვეული გახლავთ „დურსუნ ქობულეთელი ბეგის“ დედანი.  
ალექსანდრე ყაზბეგის გამოუქვეყნებელ ხელნაწერთა შორის  
იგი ყველაზე საინტერესო და საყურადღებო ნაწარმოებია.

ამ თხზულებას როცა ეცნობით, ადვილად რწმუნდებით, რომ  
ავტორს განზრახვა ჰქონია შეექმნა დიდი მხატვრული ტილო.  
ტყუილად კი არ უწოდა ავტორმა მას „ისტორიული დრამა“. მას,  
როგორც ქართველ საზოგადო მოღვაწეს, ღრმად ჰქონდა შეგნე-  
ბული თავისი სამშობლოს ისტორიის მტკივნეული საკითხები.  
თურქი დამპყრობლებისაგან მიტაცებულ მიწაზე მცხოვრებ მოძ-  
მეთა ბედი აღლევებს დიდ მწერალს და მის აჭარულ სერიის ნაწა-  
რმოებებში იგი ამჟღავნებს წმინდა პატრიოტულ სულისკვეთებას.

აკადემიკოსები ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი თავიანთ წე-  
რილში „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“,  
სწერენ: „ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებენ თურქეთის  
წინააღმდეგ რუსეთის XIX-XI საუკუნეების ყველა ომში და ამ  
ომებზე გაერთიანების შესაძლებლობასთან დაკავშირებულ იმე-  
დებს ამყარებდნენ. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები—  
ჭავჭავაძე, ა. წერეთელი გ. წერეთელი, გრ. ორბელიანი, დ. ყიფი-  
ანი—აღტაცებით შეესალმებოდნენ თურქეთის მიერ დაპყრობილი  
ქართული მიწა-წყლიდან ყოველი ახალი რაიონის დაბრუნებას. სა-  
ერთო-სახალხო ზეიმით იქნა აღნიშნული თურქეთისათვის ბათუ-  
მის, არტაანისა (არღაგანის) და ართვინის ოლქების წართმევა, არ-  
ზრუმის, ლაზისტანისა და ტრაპეზუნტის დაკავება. ხალხი ამაში  
თავისი საუკუნოებრივი ოცნების განხორციელებას ხედავდა. სა-  
ქართველოს ბევრი დამპყრობი უნახავს. თურქებმა სამართლი-  
ანად დაიმსახურეს მათ შორის უარესთა სახელი. მხოლოდ სიკე-  
დილი, აოხრება და გაველურება მიჰქონდათ მათ ყველგან, სადაც  
კი ისინი გაჩნდებოდნენ. მათ მიერ დაპყრობილ ქართულ ოლქებ-  
ში განვითარებული მატერიალური კულტურა რამდენიმე საფეხუ-  
რით ჩამოქვეითდა. ქალაქთა ცხოვრება მთლიანად ჩაკვდა იქ, სა-

დაც იგი წინათ სდუღდა და გაღმოდირდა. გაჰქრა ინტენსიური სა-  
სოფლო-სამეურნეო კულტურები—მელვინობა, მეაბრეშუმეობა.  
მოსახლეობა გაღატაკდა. მხეცურად, არაადამიანურად სდევნიდნენ  
ქართველი ხალხის წმინდათა წმინდას—მის ენას, მის კანონებსა და  
ტრადიციებს, მამა-პაპათა კულტურასა და სარწმუნოებას. ცეცხლი-  
თა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენასა და ისლამს“.

და, რასაკვირველია, ზემოთ ჩამოთვლილ ქართველ მოღვაწე-  
ებთან ერთად, თურქეთის მიერ დაპყრობილი ქართული მიწა-წყლი-  
დან ყოველი ახალი რაიონის დაბრუნებას დიდი სიხარულით შეხვ-  
დებოდა ალექსანდრე ყაზბეგივით მგზნებარე პატრიოტი. როგორც  
ალექსანდრე ყაზბეგის არქივიდან ჩანს, მას ბევრო უმუშავნია  
აჭარის თემაზე, ამიტომ ეჭვმისატანი არ იქნება ის მოსაზრება,  
რომ მწერალს მოვლილი ექნება მთელი დღევანდელი აჭარა და კი-  
დეც თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული ოლქებიც. ალექსან-  
დრე ყაზბეგი ცდილა თავის ისტორიულ დრამაში მოეცა ჰაიდარ  
ფაშას სახით გამაჰმადიანებული ქართველი. პიესა რამდენიმე  
გვერდს შეიცავს, მაგრამ მასში მაინც იგრძნობა მასალისა და ადა-  
მიანთა სულიერი სამყაროს თავისებურების ღრმა ცოდნა.

ვინ იცის მყინვარის ლალ შვილს რამდენჯერ შემოუვლია არ-  
ტანის, ოლთისის და ართვინის ოლქები, რომლებიც მისი გარდა-  
ცვალების ოცდა რვა წლის თავზე,—1920-21 წელს,—საქართვე-  
ლოში შემოჭრილმა თურქმა დამპყრობლებმა კვლავ ვერაგულად  
მიიტაცეს.

ალექსანდრე ყაზბეგი გრძნობდა ამ საშიშროებას. მისი გმი-  
რის პირით იგი ამბობდა:

„საქართველო საყვარელია და მისგან ჩვენი მოწყვეტა უბე-  
ღურების მეტს არას გვაძლევს“.

ამ პიესაში ლეილა, რომელსაც ეს სიტყვები ეკუთვნის, მეტად  
საინტერესო ტიპია. იგი მოწინავე, შეგნებული ქართველი ქალია,  
რომელსაც სამშობლოს ღრმა სიყვარულით უძგერს გული. პიესა-  
ში გამოყვანილია იზმაელ ფაშა, ოსმალეთის წარმომადგენელი და  
მაზრის მმართველი. მასზე უპირებენ ლეილას გათხოვებას, მაგრამ  
ქალი მრისხანე მამას გაბედულად ეუბრჩება. იგი ამბობს:

„არ მინდა ფაშას ცოლობა, არ მინდა სიმდიდრე, ბედნიერე-  
ბა იმ კაცისაგან, ვინც არ მეყვარება და ვერც შევიყვარებ“.

დიად, პატრიოტი ლეილა ვერ შეიყვარებდა მოძალადე ფაშას.  
მას ღურსთუნი უყვარს და ორივეს თავისი მიწა-წყალი—საქართვე-  
ლო.

ამ პიესის მოქმედ პირთა რაოდენობა არ აღემატება ათ კაცს.  
მწერალს წინასწარ გაუთვალისწინებია მაშინდელი თეატრის შე-

საძლებლობა. პიესაში ადამიანები თავისი პოლიტიკური და სარწმუნოებრივი მდგომარეობით მეტად საინტერესოდ არიან განსწილებული. უადგილო როდი იქნება მოვიყვანოთ მოქმედ პირთა სია.

„ჰაიდარ ფაშა (ქართველთაგანი და გამაჰმადიანებული ხანში შესული).“

ლეილა—ამისი ქალი, გასათხოვარი.

დურასუნ ბეგ თავდგირიძე—ყმაწვილი კაცი, რომელიც ჰაიდარის სახლში იზრდება.

იზმაილ ფაშა—ოსმალეთის წარმომადგენელი და მაზრის მმართველი.

ისკანდირ ბეგ—იზმაილის თანაშემწე.

ხათუნ—ჰაიდარ ფაშის პირველი ცოლი.

ფათმან—ჰაიდარის მეორე ცოლი. ლეილას დედა (ქრისტიანი).

სანვერდი—გამზრდელი ლეილასი.

კახაბერი—გურული თავადიშვილი, მეგობარი დურასუნისა.

ოტია—კახაბერის აზნაური“.

აღექსანდრე ყაზბეგი ძალიან მოწადინებული ყოფილა შეექმნა დიდი დრამატიული ნაწარმოებები ქრისტიან და მუსლიმან ქართველებზე და ამასთან ერთად ეჩვენებინა მათი გამთიშველი ძალა—თურქი დამპყრობელი. მწერლის ამ განზრახვაზე აშკარად მეტყველებს ის ფაქტი, რომ პიესის მოქმედ პირთა შორის არიან ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველები, მოძალადე თურქი და მისი დამქაში.

პიესის მრავალ საინტერესო ადგილთა შორის საკმარისი იქნება მოვიყვანოთ ერთი, სახელდობრ ლეილასი და მისი გამზრდელის სანვერდის დიალოგი.

ლეილა—ეს თურქეთის მიერ დაპყრობილი ქართული მიწა-წყლის მცხოვრებია, რომელიც ეუბნება გამზრდელს:

„მამ შენ ამბობ, რომ ქალები საქართველოში მეტის თავისუფლებით სარგებლობენ?“

სანვერდი—(გატაცებით) ჰო შვილო, საქართველო ედემია და მის მშვენიერებით მცხოვრებნი თავისუფლად სარგებლობენ!

ლეილა—ქალები პირახდილები დადიან?

სანვერდი—დიახ.

ლეილა—თუ ცოლო არის, რატომ ქალებს იქ-კი, არა ჰკეტა მენ, თუ ლეთის ბრძანებას ივიწყებენ, რატომ არ ეხდევინებათ?... დურასუნი მართალია... საქართველო საყვარელია და მისგან ჩვენი მოწყვეტა უბედურების მეტს არას გვაძლევს“.

იმ დროს, როცა აღექსანდრე ყაზბეგი ამ პიესაზე მუშაობდა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში უხვად თავსდებოდა თურქეთის მი-





ერ მიტაცებულ მიწაზე მცხოვრები ქართველების ცხოვრების შესახებ წერილები და ეს პიესაც წარმოადგენს ამ მასალების პოეტურ გამოძახილს.

იმ რვეულს, რომელშიაც ეს პიესაა მოთავსებული, სხვა შენიშვნებს შორის ერთი მეტად დამახასიათებელი წარწერა აქვს:

„გიყვარს ომი ჩვენ მტერთანა,  
ტყვიანზედ ტყვიის გაგზავნა“.

\*\*\*

ალექსანდრე ყაზბეგს თავის გენიალურ თხზულებებში ბუნების მხრივ აღწერილი აქვს: მრისხანე კავკასიონის მთაგრეხილები, მარად მოგრიალე თერგი და ალბური საძოვრები. ყაზბეგი ბუნების დიდი მხატვარია, მაგრამ მას ნაწარმოებში სრულებით არ სწამს განყენებული ბუნების აღწერა. მას არ სწამს ბუნება უღამიანოდ. ბუნებას იგი ხატავს ადამიანთან ერთად და ადამიანის გარშემო. ყაზბეგის მოთხრობებში ბუნება უდიდეს როლს ასრულებს გმირების სულიერ განწყობილებათა გადმოცემაში.

„ხევის ბერ გოჩაში“ ვკითხულობთ: „გაწითლდა მყინვარწვერის თავი, მზის სხივებმა ოქროს გვირგვინი გადმოჰფინეს, თეთრმა, უმტვერო თოვლმა ნათლად ბრჭყვიალი დაიწყო. მას მოჰყვა კაკბის კაკანი, რომელიც გაშმაგებით ეძახდა გულისა მეგობარს, რადგანაც ბუნების მშვენიერებით მარტო დატკობა არ ესმოდა“...

მყინვარეთის და ხევის ეს უბადლო მხატვარი არანაკლები ოსტატობით ხატავს შავი ზღვის პირად გაშლილ ბათუმს, თამარის ციხეს და მდინარე ჭოროხს.


ალექსანდრე ყაზბეგის ხელნაწერებში ჩვენ ვნახეთ მოთხრობა „დურსუნ ბეგ ქობულეთელი“. იგი შეიცავს მხოლოდ ოთხ გვერდს, რომელიც წარმოადგენს დიდი მოთხრობის თუ რომანის შესავალს. ამ ოთხ გვერდზე ყაზბეგისათვის ჩვეული ოსტატობით აღწერილია მხოლოდ ბათუმი და მისი მიდამოები.

„...ისეთი ღამე იყო გაზაფხულისა, როდესაც ბათუმსა სადღესასწაულო სახე დასდებოდა და ურიცხვი ჩირაღდნებით გაჩაღებული ცეცხლწაკიდებულს დამსგავსებოდა“.

მოთხრობის მეორე ადგილას იგი აღწერს თამარის ციხეს. „...განცალკევებულს გორაზედ მოჩანდა ნაშთი ძველებურის ციხისა, ეხლა დანგრეული, დაობლებული, მაგრამ ოდესმე სიცოცხლით

18101-1

20207





სავსე ციხე „თამარ მეფისა“ და ძლევამოსილი მოქალანდე საქართველო-სთან შებრძოლებულის მტერისა“.

აღ. ყაზბეგმა თერგვით ბათუმში ჭოროხსაც ენა ამოადგმევინა. იგი სწერს, რომ ჭოროხი „ჰგლეჯს და არყევს იქაურობას... ლახტად შენატყორცნს ზვირთებს სცემს თავის მოწინააღმდეგეს, აპობს გზას და გულისგასახარს ჭყვივით იქამდის მიიბრძვის, სანამ უკანასკნელს წვეთს ბრძოლის ძალა შერჩება“. იქვე დასძენს, ჭოროხი ამ ბრძოლასა და გრიალში ამბობსა „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

ასე გააცოცხლა ყაზბეგმა ბათუმის ბუნება. იგი დაუკავშირა ადამიანის განცდებს და ამ რიგად შეჰქმნა ცოცხალი სურათი. როცა იგი აღწერს თამარის ციხეს, დღეს მისი ნანგრევი ასე ამაყად რომ გადაჰყურებს ქალაქს, მკითხველი უმუშაოდ განიცდის მის სიდიადეს და მთელ იმ საგმირო საქმეებს, რომელიც ამ ციხესთანაა დაკავშირებული.

აღექსანდრე ყაზბეგი არის სიცოცხლის დიდი მომღერალი. იგი ამ სიცოცხლის სიმღერას არ დალატობს იქაც კი, სადაც ხრიოკ მთებს, ციხეების ნანგრევებს ან მთვარეს აღწერს. ამ უსულო საგნებსაც ცოცხალივით ამეტყველებს ზოლმე.

— „ბუნება კარგია მხოლოდ მაშინ,—სწერს ყაზბეგი,—როდესაც სიცოცხლე ტრიალებს და ბრუნავს; ბრუნავს იმ სიტკბო და სიმწარე შერეულის ძალით, რომელიც ადამიანის თვით ცხოვრებას შეადგენს. რა არის მთვარე მოკაშკაშე, რომელიც ამუქებს ათას ყვავილებს, თუ იქავ გვერდს არ უდგას სულდგმული, რომელზედაც ასე თუ ისე გავლენა აქვს. გავლენა აქვს, ახარებს, თუ ჩაწყვდიადებულს გულს ნუგეშს აძლევს. მე არა ვარ მლოცველი უსულო, უსიცოცხლო საგნებისა. ვერც ჩემი ოცნება, ვერც ჩემი გონება, ვერც ჩემი კალამი ვერ მიუბრუნდებიან მკვდარს, მოქმედება მოკლებულს საფანს“.

მოთხრობა „ღურსუნ ბეგ ქობულეთელის“ ავტორს გამიზნულად ჰქონია შეექმნა დიდი მხატვრული ნაწარმოები. ამაზე ლაპარაკობს თვით მოთხრობის შესავალი, სადაც გაცოცხლებული და ამეტყველებულია ბათუმის შესანიშნავი ბუნება და ამის ფონზე ალბათ მწერალი შეჰქმნიდა აჭარელთა ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებს. მაგრამ, სამუშაოდ, ყაზბეგს არ დასცალდა ეს კეთილშობილური განზრახვა სისრულეში მოეყვანა.

ახლა ორიოდე სიტყვა ღურსუნზე, როგორც ლიტერატურულ ტიპზე. აღექსანდრე ყაზბეგის გამოუქვეყნებელ ნაწერებში, გარდა ზემოთ მოყვანილისა, არის კიდევ ერთი პატარა რვეული, რომელსაც აწერია „ღურსუნ ბეგ“. ესეც მოთხრობაა. იგი შეიცავს

რვეულის ათ გვერდს. ყველა ეს ნაწარმოებები არის სხვადასხვა ვარიანტები იმ დიდი თხზულებებისა, რომლის შექმნაზეც ყაზბეგი გულდასმით მუშაობდა. მას საფუძვლიანად შეუსწავლია ღურსუნი. შეიძლება მის პროტოტიპსაც იცნობდა კარგად. ამ გმირს მწერალი დიდი სიმპათიითა და სიყვარულით ხატავს. ჩვენ ვიცით ღურსუნის გვარიც. იგი თავდგირიძეა. საქართველოს მგზნებარე პატრიოტი.

ალექსანდრე ყაზბეგს განზრახვა ჰქონია შეექმნა ქართველი მუსლიმანის სახე, რითაც ჩვენი ლიტერატურა ღარიბია.

ალექსანდრე ყაზბეგის თვითეული ნაწარმოების გამოქვეყნებას, სრული იქნება ის თუ დაუმთავრებელი, ქართველი მკითხველი უდიდესი სიყვარულით შეხვდება. ყაზბეგის გამოუქვეყნებელ თხზულებებს არქივის მტვერი უნდა მოვაშოროთ და მისი დაბადების ასი წლისთავზე ქართველი ხალხის გულთან მივიტანოთ.

ამ მიზნით, უადგილო არ იქნება აჭარის სერიის ნაწარმოებებიდან მოთხრობები „ღურსუნ ბეგ ქობულეთელი“ და „ღურსუნ ბეგი“ აქვე, მთლიანად წარმოგიდგინოთ.

## „ღურსუნ-ბეგ ქობულეთელი 1“

(მოთხრობა)

### I.

გაზაფხულის ღამე იყო. ბუნებას მეჭლისი გაემართა; მზობელს მიწას მცენარეთათვის საზრდო უხვად გაეხსნა; სუბუტქს ნიავს წყნარი და ზრუნვით ერხია სურნელოვანთათვის აკვანი; ცდილიყო მათს აღზრდას და აღორძინებას. ცა მოწმენდილიყო და მოჭედილი მოციმციმე, ვარსკვლავებით; მთვარე ჰაერში ამაყად და შედიდურად მოძრაობდა; მისი ფართო გაშლილი სხივები კრთებოდა და სამაცდუროდ შესთამაშებდა შავი ზღვის სარკესავით დაწმენდილს წყალს... ნიავი ოდნად მოცელქობდა თვალ გადაუწვდენელის ზღვის კანზე, რომელიც თითქოს ჰგრძნობდა მაცდურის მიკარებას; გრძნობა თითქოს ნეტარების ქრიაშულად ატოკებდა, კანს უძარცამდა. ურიცხვი წვრილ-წვრილად აშლილი, პატარა ტალღები შესთამაშებდა სხივებს, რომელნიც ისე მალხაზობდნენ მათ შორის და თითქოს დაჰყიჟინებდნენ: „მე ვარ მნათობი, მე შემიძლიო“

1. ეს მოთხრობები მომასწავლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელმა შალვა გოზალიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.



ან ედემის სიტყვობებზე გაგაჩნობინო!.. აქა ვარ, შენს წინ, დამიპირე თუ შეგიძლიან!“ ეტყოდა და გაშმაგებული ზვირთები თრთოლით გამოუდგებოდენ მათა... სხივი შეკრთებოდა, გასხლტებოდა და მაცდურად სხვა ადგილს დაიწყებდა ციმციმს!..

მისგან მოხიბლული თევზიც გაჰყვებოდა საოცნებო მოჩვენებებს და აღტაცებული მეტის წადილით ჰაერში, მალა შეფრენილი გააკრიალებდა ვერცხლად მოსაჩვენებს კანსა!.. შორს, შორს სადღაც, თვალისთვის ძლივს მისწვდომს ცის ტატნობზედ მოჩანდა ზღვაზე მომცურავი რალაცა საოცნებო, შავი; მას თავზედ, ნაწიწკლების, გრძელი დროშა გაეშალა და ცეცხლის მქშინავს ვეშაპს დამსგავსებოდა. ეს გახლდათ გემი, რომელსაც დაჰგვიანებოდა და ხმელეთისაკენ მოესწრაფებოდა.


ზღვის ნაპირი წარმოადგენდა რგვალად შემორტყმულს ქალაქს, რომელსაც გარს შემოზღუდოდა უდაბნო ტყეებით მოცული მთები. ერთს მათგან განცალკევებულს გორაზედ მოჩანდა ნაშთი ძველბურჯის ციხისა, ეხლა დანგრეული, დაობლებული, მაგრამ ოდესმე სიცოცხლით სავსე ციხე „თამარ მეფისა“ და ძლივამოსილი მოქადნე საქართველოსთან შემობრძოლებულის მტერისა.

ქალაქის მეორე მხარეს მოჩანდა მკვირცხლი ჩოროხი, ის მთის შვილი, რომელსაც გაბრძოლებაში შედგომა არ ესმის, გზის გადამლობს შიგ გულში ეჭრება. აქაფებული, აზვირთებული, შეკრული კუმუ-კუმუად მედგრად მიქანავს შავის ზღვისკენ და იქ მოწინააღმდეგეს შეტაკებული ცოფმორეულად, ლომად მორიალი ჰგლეჯს და არყევს იქაურობას...

ლახტად შენატყორცნს ზვირთებს სცემს თავის მოწინააღმდეგეს, აპობს გზას და გულსახარის ქყვილით იქამდის მიიბრძვის სანამ უკანასკნელს წვეთს ბრძოლის ძალა შერჩება. ბოლოს, თითქოს დუმდება, ჩუმდება და ცოტა მოშვიდობიანების შემდეგ რამდენჯერმე თანასწორ ასულ-ჩასულს ზვირთებად ამომქშინავი თითქოს ამოიკვნესებს:

„სჯობს სიცოცხლისა ნაძრახსა,  
სიკვდილი სახელოვანი!..“

და ამ სიტყვებით დამშვიდებული მშვიდდება... ისეთი დამე იყო გაზაფხულისა, როდესაც ბათუმსა სადღესასწაულო სახე დასდებოდა და ურიცხვის ჩირაღდნებით გაჩირაღდებული ცეცხლ წაკიდებულს დამსგავსებოდა. ყოველ ადგილას ხალხი მოძრაობდა, ყველგან ისმოდა სიმღე-



რის ხმა, ოსმალურის ზურნის დამაყრუებელი ჭყვიტინი და იქაუ-  
რივე უზარმაზარის დოლის ბრაგაბრუგი, რომელიც კაცს აყრუებ-  
და.

ეს ქალაქი რაღაცას დღესასწაულობდა, მაგრამ ეს არც ბაი-  
რამს მიემგზავსებოდა, არც სხვა რომელიმე ამგვარს დღეს,  
რადგანაც მეჩეთის მაღალის და წვრილის მინარეთებიდან  
არ მოისმოდა მოლის ჩვეულებრივი ძახილი მართლმორწმუნე მაჰ-  
მადიანთა ლოცვად მისაწვევად.

ღამე იყო და ქალაქი ჩირაღდნებით გაჩაღებული; ურიცხვის  
ადგილებიდან მოისმოდა საკრავების ხმა და სიმღერა, ამ დღისთ-  
ვის მოწვეულის საზანდრეობისა. მორთულ-მოკაზმული ხალხი მხია-  
რულად დადიოდა ქუჩებში და ხშირის ყიყინით უერთდებოდა  
ზღვის განუწყვეტელს გრიალს.

ვიღაცა ცხენოსანი შემოვიდა ქალაქში და გაკვირვებული ქა-  
ლაქის ამ მდგომარეობით პირველს შემხვედრს კითხვით მიექცია:

- რა ანბავია, რასა დღესასწაულობენ?
- იზმაილ ფაშას შვილი დაბრუნდა სტანბოლიდან...
- სტამბოლს რას აკეთებდა?
- სწავლობდა... ესხა სულთანს დაუჯილდოებია და მამასთან  
სანახავად მოვიდა.

- სამსახურშია?
- სამსახურშია მაშ!... ნასწავლია და განათლებული... სამზღ-  
ვარგარეთაც-კი ყოფილა.

—როგორი კაცია?

—ეე, ლომია, ლომი! მოუჭრა სიტყვა ქალაქელმა, ხელის აქ-  
ნევით გამოესალმა და ქუჩაში შეუხვია..."

\*\*\*

სამწუხაროდ აქ წყდება ეს მოთხრობა.

ალექსანდრე ყაზბეგი თავის მეორე მოთხრობაში „ღურსულენ  
ბეგ“ საქართველოს სისხლიანი ისტორიის უფრო აქტუალურ სა-  
კითხს ეხება. ეს არის მოწინავე ვაჭრობა, ქართულ ლიტერატურაში  
ეს საკითხი არც ისე მდიდრად არის გაშუქებული.

ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც **გვირობის**, **მეგობრობის** და  
ვაჟკაცობის მომღერალი, ამ თემასაც მისთვის ჩვეული ოსტატობით  
აშუქებს. ქართველების გვირობით თავზარდაცემულია იზმაილ ფა-  
შა. მან შეიძინა დიდძალი ტყვეები, მაგრამ მათი შიში და მორიდე-  
ბა მაინც აქვს. იგი აფრთხილებს თავის მსახურს. „—ქობულეთე-  
ლები თავ მოყვარენი და ცოტა გულფიცხი არიან, ყველას უთხა-

რი მოერიდონ“. ხოლო მსახურიც თავის მხრივ უიშობს. იგი ეუბნება ფაშას: „ხომ მოგესხენებათ ქობულეთელები გურჯების გვარტომობის ხალხია, ტყვეობას აგრე ადვილად ვერ ეთვისებიან“. და ბოლოს ერთი საინტერესო დეტალიც. იზმაილ ფაშას თავისი მსახური მირზა ეუბნება: ქობულეთელი ტყვე, რომელიც წინააღმდეგობას მიწევდა, დავიბარე, შევაშინე და გავაჩუმეო. მაგრამ როგორ შეაშინა? ცოლშვილს დავიხოცავო, დაეჩადნა და ჩააჩუმა. ჩააჩუმა იმიტომ, რომ როგორც მირზა ამბობს: „ცოლი ფეხმძიმედ ჰყავს და როგორც ეტყობა ძალიან უყვარს“. „ფეხმძიმედო!“ ამ სიტყვამ იზმაილ ფაშას გული გაუგმირა. იგი ხომ უშვილოა, უმემკვიდრეოდ იღუპება. მწერალს აქ მემკვიდრეობის საკითხი სიმბოლიურად აქვს მოტანილი. იზმაილ ფაშა, როგორც კაცმოძულე, ადამიანებით მოვაჭრე და დამპყრობლური ომების გამჩაღებელი, უთვისტომოდ უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა. მას მომავალი არა აქვს. მომავალი ხალხს ეკუთვნის და შვილი, როგორც სიმბოლო მომავლისა, აკი უჩნდება გაყიდულ მონას.

მაგრამ აქ წერტილს დავსვამთ. ჩვენ მთლიანად მოვიყვანთ მოთხრობას „ღურსუნ ბეგ“, იგი უფრო მეტს იტყვის თავისთავზე.

## „ღურსუნ ბეგ

(მოთხრობა)

დიდი და გამოჩენილი იყო იზმაილ ფაშა არზრუმისა. სულთანს უყვარდა მეტისმეტად და თავმინებებულის მართველის ქეიფზედ იყო დამოკიდებული მთელის არზრუმის კეთილდღეობა. მბრძანებელი და აღმსრულებელი ერთსა და იმავე დროს იზმაილ მოკეცილი იჯდა ხოლმე, სწევდა ყალიონს და თავის ქვეშევრდომთა მოხსენებაზედ მოკლედ, მაგრამ მედიდურად წარმოსთქვამდა: „დაისაჯოს“ ან „განთავისუფლდეს“ და ეს საკმარისი იყო, რომ ბევრჯელ ცამდის მართალს, ძალა მქონებელის ფაშას თითის დაქნევით მზე დაჰბნელებოდა, სუნთქვა სამუდამოდ შესწყვეტოდა.

ფაშა იყო მდიდარი, შეძლებული და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ხარჯისთვის არ დაფიქრებოდა. მისი სახლის მოწყობილება და სიმდიდრე, იმის ცოლების რიცხვი და მათი სიკეცლუცე ყოფილის მხრივ დავას გაუწევდა სულთანის მოწყობილებას, მაგრამ სიყმაწვილეში თავმეუკავებელს ცხოვრებას დაესუსტებინა, დაემჩაჩა და გულის უპირველესი წადილი აღარ შესრულებოდა. ეს იყო უშვილო, მისი აუარებელი შეძლება უმემკვიდრეოთა რჩებოდა და ფაშის ლოცვა, გამგზავრება გაბასა და სხვა წმინდა ადგილებში, სხვადასხვა მოღების წამლობა სრულიად ამა-



ოდ რჩებოდა. ამ მხრივ ღმერთი თითქოს გაბრუნებულყო და მზაილის მუღარა მის სმენას აღარა სწვდებოდა.

რამდენადაც ფაშა ხნიერებაში შედიოდა, იმდენად შვილის მიცემის იმედი მეტად ეყარგებოდა. მწუხარებით ჰფიქრობდა, რომ სიკვდილის შემდეგ მისი სახელის მოსაგონებლად ბლავანაც კი არა რჩებოდა.

—მაშ ასე უნდა გავქრე!... წავიდე, და ჩემი სიცოცხლის ნიშანიც-კი არ უნდა დარჩეს! იძახდა ხშირად იხმაილ, ხელს წვერზედ ჩამოიხსვამდა და მწარეს ოხვრით წარმოსთქვამდა: —ლაილა ჰაილა, მაჰმედ რასულ ილა!

ერთ დღეს ფაშა თავის საწოლში იყო და მსუქანის სადილის შემდეგ განცნობას ეძლეოდა, როდესაც ოთახში შემოვიდა მხლებელი. მარჯვენა ხელი ჯერ გულზე, დაიდო, შემდეგ შუბლზედ და შემდეგ დაბლა დაუშვა და თითქმის მიწას პირ გაერთებულმა თაყვანი სცა, დაიკრიფა გულხელი და ჩუმად დადგა. ფაშამ ოდნავ ხელის აქნევით სალამი გადაუხადა, გასწორდა რბილს ტახტზე და უჩვენა ახლო-მახლო მდგარს სკამზედ.

ახლად მოსულმა სკამზედ დაჯდომის მაგივრად ძვირფასის რბილის ორხუეებით მოფენილს იატაკზედ წაიჩოქა. ფაშამ თითქოს ეს მოძრაობა ვერ შეამჩნია და წამოიძახა:

—აღისფკარ.

შემოვიდა ბიჭი, იქაურის წესიერებით სალამი მისცა ჯერ ფაშას, შემდეგ სტუმარს.

—ყალიონი. უბრძანა ფაშამ და ბიჭმა სწრაფად მიართვა ახლად მოსულს.

—ყავა. ვაიმეორა ფაშამ და ბიჭმა ეს ბრძანებაც თვალის დახამხამების უმაღლ აღასრულა.

აჩრუუმის მართველმა და მისმა მოსამსახურემ დაიწყეს პაწაწკუნა ფინჯანებიდან უშაქრო და სქელი ყავის სმა ჩუმად და ხმა ამოუღებლივ. მყუდროებას ხანდისხან ყალიონების ჩუხჩუხი დაარღვევდა.

—მირზა, ერზრუმში რა ანბავია?—ბოლოს წარმოსთქვა ფაშამ.

—თქვენთვის გონივრულის განკარგულების გამო და მაჰმადის შემწეობით მშვიდობიანობის მეტი არა ვახლავს რა, დიდებულო ფაშავ.

—როგორ იქცევიან ახლა ტყვეები რომ ვიყიდეთ?

—თავიანთ მდგომარეობას თითქოს შეჩვივნენ დიდებულო ფაშავ! მოახსენა მირზამ და საყასუროდ დაუმატა:—მე აუხსენ,



რომ თქვენ არ გიყვარსთ, როდესაც უკმაყოფილებას აცხადებენ?

—მერე?

—მერე, თქვენს წინააღმდეგობას ვინ გაბედავს დიდებულო ფაშავ?.. თავი ხომ არ მოსძულებია?

—თუ გიყვარდე? სიამოვნებით გაიღიმა იზმაილმა და ზარმაცად გაიზმორა.

—ვფიცავ, თქვენს ბრწყინვალე სახელს.

—სულ აღარა უთქვამსთრა, აღარა? გაიმეორა კითხვა მბრძანებელმა.

—ხომ მოგეხსენებათ ქობულეთელები გურჯების გვარტომობის ხალხია, ტყვეობას აგრე ადვილად ვერ ეთვისებიან. კაცმა ცოტა, ისე... რაღაცა ჭინჭყლაობა დაიწყო... დავიბარე და უთხარ, თუ არ დამშვიდლები მეთქი, შენს ცოლსა და შეილს ტომარაში ჩავადლებინებ, გაუკერვინებ პირსა და ზედ ქვამობმულს შუა ზღვაში გადავადლებინებ მეთქი.

ფაშამ სიამოვნებით ვაიცინა და რამდენჯერმე მუცელზე ხელი გადაისვა.

—ძალიან მოგიხერხებია, ძალიან! წარმოსთქვა იმან და ჰკითხა —მერე?

—მერე და ჩემო უფალო! შეშინდა, ძალიან შეშინდა... ცოლი ფეხმძიმეთა ჰყავს და როგორც ეტყობა ძალიან უყვარს.

—უყვარს, უყვარს! გაიმეორა ფაშამ და ამავე გვარად დაუმატა: „შეშინდა... ჰა, ჰა, ჰა, ჰა!..“ „შეშინდა!“...

—ეხლა სულ თქვენს სახელსა ფიცულობს, რასაც კი ვეტყვი, მაშინვე ხმამაღლებლივ აკეთებს... ცოტა სხვა მოსამსახურეებთან ვერ ეწყობა, თორემ სხვა ფრივ კარგად იქცევა.

—ქობულეთელები თავ მოყვარენი და ცოტა გულ ფიცხნი არიან, დაუმატა ფაშამ. ყველას უთხარი მოერიდონ.

—თქვენს სახლში წინააღმდეგობას ვინ გაბედავს?.. უპასუხა მირზამ.—მეორე დღეს მზის ხილვით დატკობა მაინც აღარ უნდა.

ჩამოვარდა სიჩუმე და ფაშა რაღაზედაც დაფიქრდა. მირზა ხმამაღლებლად იჯდა და მბრძანებელს მოწიწებით შეჰყურებდა.

—მირზა! ბოლოს წარმოსთქვა ფაშამ და სახეზედ წინანდელის მხიარულების აჩრდილიც აღარ ეტყობოდა.

—მბრძანე ფაშავ!

—მიდიან დღენი, ვუძღურდები და ღმერთმა-კი აღარ შემეძრალა!.. ამდენმა შრომამ, ამდენმა ამაგმა ამაოდ უნდა ჩამიაროს...

—დიდებულო ფაშავ! დიდია ღმერთი და იმის მოციქული მაჰ-





მადი!... უფლის განზრახვას კაცის გონება ვერ მისწვდებდა... მოითმინეთ ცოტა და შემკვიდრეთ მოგეცემათ.

—როდის, როდის-ღა?... მწარედ გაიღიმა ფაშამ და დაუმატა.  
—მაშინ თუ, როდესაც ჩემი ძვლები სამარეში დამიწდებათ“.



„ღურსუნ ბეგ ქობულეთელი“ და „ღურსუნ ბეგი“ ვარიანტები არ უნდა იყოს. პირველში იზმაილ ფაშას შვილი ჰყავს, რომელიც სტამბოლიდან ბათუმში მოდის, ხოლო მეორე მოთხრობაში ფაშა უმეილია. ამიტომ შესაძლებელია ესენი სხვადასხვა მოთხრობა იყოს, რომლის დამთავრება ავტორმა ვერ მოასწრო.



# IV

ალექსანდრე ყაზბეგის ჯერ გამოუქვეყნებელი ბელეტრისტული და პოეტური ნაწარმოებებიდან ჩვენ ცალკე გამოვყავით მისი ფრიად მნიშვნელოვანი „მგზავრის წერილები“.

თითქმის ყველა ქართულ კლასიკოსს თავისი კალამი უცდია ისეთ დოკუმენტალურ ნაწარმოებების შექმნაზე, რომელიც უშუალოდ ყოველდღიურ საჭირობო საკითხებს ეხებიან.

ალექსანდრე ყაზბეგმა ყურნალისტიკის კარგი სკოლა განვლო. იგი სერგეი მესხთან დიდხანს მუშაობდა.

როგორც ცნობილია, სწორედ რედაქციისა და სტამბის მუშაებზე დააწერინეს ალექსანდრე ყაზბეგს პროზის შედეგების „ელგუჯას“ მეორე ნაწილი. ამის შესახებ დავით კლდიაშვილი თავის მემუარეებში სწერს: „მოვიყვან მისი „ელგუჯას“ დაწერის ამბავს, რაც თვით სანდროსაგან გამიგონია და რაც ამას წინათ დაადასტურა ასოთ-ამწყობმა მოხუცმა რუსიშვილმა. „ელგუჯა“ თავდაპირველში თავდებოდა ახლანდელი პირველი თავის ბოლოში, ელგუჯას სიკვდილით. სტამბაში ასოთ-ამწყობებმა განაცხადეს, რომ ფელეტონს არ ამოვაწყობთ, თუ გმირი იაყუაცის ელგუჯას ამბავი არ განაგრძო სანდროსა; ამისთანა ვაყუაცს ასე ადრე არ მოვაკვლივინებთო. გაუგზავნეს რედაქციაში სანდროს მეტრაპაჟი დიომიდე კილაძე და ორი ასოთ-ამწყობი, სთხოვეს რომ ელგუჯა არ მოეკლა და მისი ამბავი გაეგრძელებინა.“

— ელგუჯას ასე ადრე ვერ მოვაკვლივინებთო! მითხრესო, — გადმომცა სანდრომ. — თან მეტი-მეტად მიამა ასეთი მომართვაო, — სთქვა სანდრომ, — თან კი გასაჭირში მაგდებდაო. ცოტა ყოყმანის შემდეგ, რაკი არ მეშვებოდენ, იქვე გადავაკეთე ფელეტონის ბოლო და ქვეშ მოვაწერე „გაგრძელება იქნება“. მძიმედ დაჭრილი ელგუჯა წაიყვანეს მოსარჩენად ვითომც გადაღმა სოფელში. რამოდენიმე დღის შემდეგ მოთხრობის გაგრძელება მზად მქონდა და პატარა მოთხრობეს მაგიერ დიომიდე კილაძემ, სტამბის ასოთ-ამწყობებმა დამაწერინეს დიდი მოთხრობა. სიამოვნებით, სიცილით მითხრა ეს სანდრომ“.

დღევანდელ მხატვრულ ნარკვევს უახლოვდება ალექსანდრე ყაზბეგის „მოხევეები და იმათი ცხოვრება“ და „ნამწყემსარის მოგონებანი“. ამ თხზულებებში უშუალოდ ნამდვილი, თვალთ ნახული და გამოცდილი ამბებია აღწერილი.

ამ ნაწარმოებთა ციკლს მიეკუთვნება მისი „მგზავრის წერი-

ლებიც“, რომელშიც ორმოცდაათიანი წლების ბათუმია აღწერილი.

ამ დროინდელი ბათუმის შესახებ ალექსანდრე ყაზბეგი სწერს: „ვისაც ბათომი ამ ერთს წელიწადის განმავლობაში არ უნახავს, იმას ეს ქალაქი სრულიად სხვა ქალაქად ეჩვენება, რადგანაც ურიცხვი სახლები აშენებულია და ქუჩები თვალს ეუცხოვება. მთელი ზღვის პირი, რომელიც უწინ ცარიელი იყო და ქალაქს მეტს ლაზათს აძლევდა, ეხლა უზარმაზარი შენობებით გაჭედებულია და თვალისათვის ყველაზედ სასიამოვნო სანახავი ზღვა, თავის დაუსვენარის, სიცოცხლით საეცე, ნაეზომადლებით დაუფარავს“.

იმ დროინდელი ბათუმი დავით კლდიაშვილს თავის მემუარებში უფრო მუქი ფერებით აქვს აღწერილი. სამოსახლო მიწების თაობაზე ატეხილი საჩივრები და სპეკულაცია, სახლების უწესრიგო მშენებლობა და უსუფთაობა, რაც თურქეთიდან ახლად შემოერთებულ ბათუმს ახასიათებდა, დავით კლდიაშვილს ვერცხლად აქვს დახატული თავის მემუარებში. ამის შესახებ მაშინდელი ყურნალ-გაზეთებიც ბევრსაა სწერდნენ.

ალექსანდრე ყაზბეგის „მგზავრის წერილები“, რომელიც ალბათ მაშინდელ გაზეთში მოსათავსებლად იყო გამიზნული, ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ის დღემდე შეჩინია მუზეუმის კარადას. აქ უადგილო როდი იქნება, ჩვენ ვიდრე მისი შინაარსის მოყოლას შევუდგებოდეთ, მთლიანად გამოვაქვეყნოთ იგი და ამ იუბილეს დღეებში, კიდევ ერთი ძალზე საინტერესო ნაწარმოები შევმატოთ მწერლის თხზულებათა ტომებს.

## „მგზავრის წერილიდან

### I.

ბათომი, ბათომი<sup>1</sup>, ეს საოცნებო ბათომი, რომელიც თითქოს მანქანებით იცვლება. შემკობილი ბუნებისაგან უწარჩინებულეს ნავთსაყუდარით ამ მხარის სიმდიდრეს შეადგენს. შემოზღუდული უზარმაზარი ტყით დაბურვილის მთებით შეუფასებელს სანახავადა ხდის.

აქ მვლელნი ურიცხვი გემები სხვადასხვა ქვეყნებიდან, ურიცხ-

<sup>1</sup> აქაურები ბათომ უწოდებენ და ამისათვის ბათუმად გადნათლულის მაგივრად მეც ბათომს ვეძახი. (ალ. ყაზბეგის შენიშვნა).

ვის ხალხით სხვადასხვა ფერ ტანისამოსებით თვალს ართობს და სურათების უწყვეტლივი ცვლილება მაყურებლის გონებას მასალას აძლევს.

ვისაც ბათომი ამ ერთს წელიწადის განმავლობაში არ უნახავს, იმას ეს ქალაქი სრულიად სხვა ქალაქად ეჩვენება, რადგანაც ურიცხვი სახლები აშენებულა და ქუჩები თვალს ეუცხოვენ. მთელი ზღვის პირი, რომელიც უწინ ცარიელი იყო და ქალაქს მეტს ლაზათს აძლევდა, ესლა უზარმაზარის შენობებით გაჭედილი და თვალისთვის ყველაზე სასიამოვნო სანახავი—ზღვა, თავის დაუსვენარის, სიცოცხლით სავსე, ნავ-ნომალდებით დაუფარავს. თითონ ზღვისკენ მიმავალი ქუჩებიც არ არიან სწორენი და მათ აქაიქ სახლები გასჩხირებია. ერთადერთი ქუჩა, რომელიც ძველადგანვე ზღვამდის ჩადიოდა, ესლა დამახინგებულია, რადგანაც ზედ ზღვის ნაპირზედ ქუჩის გარდიგარდმო რაღაცა სახლი, საღაცა საზოგადოებისა გაუჩხირავთ.

ამ გვარად სახლების არეულობა სხვათაშორის იმანაც გამოიწვია, რომ თმის შემდეგ მათი საკუთრება ძველის პატრონებისა, სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ იყო კარგად გამორკვეული და ახლად შემოერთებულს ქალაქზედ დაცემულმა სხვადასხვა გაიძვერებმა მარდათ ჩაიგდეს ხელში.

ბათომში ისეთი დღეები გამოიარა, რომ ვისაც უნდოდა და საღაც უნდოდა შეეძლო ადგილი ჯერ მფლობელობით ჩაეგდო ხელში და შემდეგ კიდევ დაესაკუთრა...

...რასაკვირველია ქალაქის გაწილადებაში და გაყოფაში, ქუჩების გაყვანაში და სახლების აშენებაში, დიდი ბრალი აწევს ბათომის არხიტექტორს და თითონ ქალაქის ამორჩეულთაც, მაგრამ როგორც პირველს აგრეთვე მეორეებს საერთო მსვლელობის წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლიათ თავიანთ უზიანოდ და თავის განსაწირავად — კი კაცი მომზადებული უნდა იყოს.

აქ ქალაქის წარმომადგენელთ უმეტესი რიცხვი ან სამსახურშია და ან რომელიმე დამოკიდებულებაში თითო ოროლა ძღვევამოსილის პირისა, რომელთაც გასრესა ჭიადუისა ადვილად შეუძლიანთ.

## II.

ბათომის მიდამო მშვენიერი კანზულობაა, შესაფერი მთელს დედამიწის ზურგზედ ყველაზედ ულამაზესის პატარძლისა. მაგრამ თითონ პატარძალი გულს გიკლავსთ. წარმოიდგინეთ დაორრო-ჩორჩრებული სახე ადამიანისა!.. ცხვირი მრუდე, გრძელი და

დაკლავნილი; ზევით ტუჩი მოკლე და მოკვნიტილი, რომელიც კბილებს ვეღარა მალავს და ქვეითი—კი ჩამოვარდნილი, სქელი და დაშვებული. თვალები დიდრონი შავი, ელვარე, მაგრამ სადღაც ჯურღმულში ჩავარდნილი, კილოები წუნ მორეული. ელფეროვანი ლოყები, მაგრამ გამხდარი, ჩაცვიფნული და ლაწები მეტის მეტად ამომჯდარი. კბილები წაღმა-უკულმა გაბრუნდებული, თუმცა თვითიეულად ბროლის სითეთრისანი არიან და თქვენ დაგეხატებათ ბათომის სურათი. ასეთი შეჰქმნეს, ასე შეამკეს ამ საედემო მხარის სახე, რომელიც მაინც ისეთის დაყვავებით და აღერსით იზიდავს თქვენს გულს, გაგონებსთ ძველს, უწინდელს საქართველოს, თამარის სახელს ქართველთა გულზედ აღბეჭდილს, იმ თამარისა, რომელიც ამბობს:

„შავს ზღვაში რკინა ჩავაგდე  
სმელეთი ჩემკენ მოვიგდე... და სხვა“.

\* \* \*

რა მგზნებარე სიყვარულით გვიხატავს ალექსანდრე ყაზბეგი ბათუმს, მის მომავალსა და მშენებლობას! ბათუმის უმშვენიერესი ბუნებით მოხიბლული მწერალი პატარძალს ადარებს ქალაქს, მაგრამ ამავე დროს ამუღავნებს და კიცხავს იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც იმდროინდელი ბათუმისათვის დამახასიათებელი იყო.

იღვევანდელი ბათუმი—ეს საბჭოთა საქართველოს ულამაზესი ქალაქი, ციტრუსებისა და სუბტროპიკული ბაღებით დამშვენებული, ამ ნახევარი საუკუნის წინათ სწორედ ისეთი იყო, როგორსაც ალექსანდრე ყაზბეგი აგვიწერს.

ბათუმის ისტორიისათვის „მგზავრის წერილების“ გამოქვეყნებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

## V

თეატრი, ნაციონალური თეატრი  
საერო საქმეა, საერო სიწმინდე.

ა. ყაზბეგი

ალექსანდრე ყაზბეგის მრავალ მხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ქართული თეატრის აღორძინებისათვის ბრძოლას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მან როგორც დრამატურგმა და მსახიობმა დიდი და სახელოვანი გზა განვლო.

ილია ჭავჭავაძის ცნობით, ალექსანდრე ყაზბეგი ჯერ კიდევ თოთხმეტი წლის ყოფილა, როცა დაუწერია კომედია, „აღმზრდელები“. ამაზე უფრო ადრე თორმეტი წლის ყაზბეგმა თავისი პირველი ნაწარმოები „ცისკარში“ დაბეჭდა. ეს იყო ლექსი „ნანა მიხეილ გიორგის-ძე ყაზბეგზე“.

როცა საქართველოში მუდმივ თეატრს საფუძველი ჩაეყარა, ქართული რეპერტუარი უმწეო მდგომარეობაში ყოფილა. თეატრს ჰყავდა ისეთი გამოჩენილი მსახიობები, როგორც იყენენ ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, მაკო საფაროვა, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი და სხვ. მაგრამ ამ მსახიობთა ოსტატობას ჩრდილს ფენდა ქართული ორიგინალური პიესების უქონლობა.

პოეტი აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი თავის საყურადღებო წიგნში „ძველ თეატრში“ სწერს: „ა. ყაზბეგი 1880 წლამდე უჩინარი ადამიანი იყო. იგი მაშინ გამოჩნდა ჩვენს საზოგადო ასპარეზზე, როცა ერთი მუჟა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია მუდმივი ქართული თეატრის საფუძვლის ჩაყრაზე ოცნებობდა. ეს მოხდა 1879 წელს! მუდმივი დასის სეზონი გაიხსნა შემოდგომაზე ბარბარე ჯორჯაძის პიესით „რას ვეძებდი, რა ვპოვე“, ხოლო ალექსანდრე ყაზბეგს 1880 წლის დასაწყისში ვხედავთ ქართულ თეატრის სცენაზე... ასე რომ „მოხვევ“ ა. ყაზბეგის სახელი მუდმივი ქართული თეატრის ჩასახვასთან არის დაკავშირებული“.

თითქმის ყველა ქართველ მწერალს უთამაშნია სცენაზე. მათ შორის საყურადღებოა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც „მეფე ლირში“ კენტის როლი შეასრულა. აკაკი წერეთელს მოლიერის „სკაპენის ცულლუტობაში“ ეერონტი განუსახიერებია, ხოლო ვაჟა ფშაველა „ხევსურთა ქორწილში“ ლაფაჩის როლს ასრულებდა. ალექსანდრე ყაზბეგი კი დიდხანს შერჩა სცენას. მან მრავალი როლი შეასრულა. იგი სცენაზე გამოდიოდა ისეთ უდიდეს ოსტატებთან,



როგორც ზემოთ აღნიშნული მსახიობები იყვნენ.

ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით ყაზბეგის სასცენო ოსტატობაზე. იმ დროინდელი კრიტიკა ყაზბეგს, როგორც მსახიობს, ძალიან მტრულად შეხვდა. მას როგორც ბელეტრისტსაც ეჭვის თვალით უყურებდნენ. მაშინდელი კრიტიკა ტენდენციური და უსაფუძვლო იყო. ამის შესახებ ისტორიამ თავისი სიტყვა სთქვა. უმართებულო კრიტიკოსთა წერილები ქართველ ხალხს არც კი ახსოვს, მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგისა და მის თხზულებებისადმი მხურვალე სიყვარულს მათ გულიდან ვერაფერს ამოშლის. ამ კრიტიკოსებს გრიგოლ ორბელიანმა თავისი მოსწრებული შენიშვნით ღირსეული პასუხი გასცა. მან „ელგუჯას“, „მამის მკვლელს“ და „ხევის ბერი გოჩას“ წაკითხვისას აღტაცებით შეჰყვირა: „ქართველების ჰომიროსი ხარ, შაბაშ!..“

\* \* \*

— ქართული პიესები არა გვაქვს. ნაციონალური თეატრი საფრთხეშია!

ხშირად ლაპარაკობდნენ თბილისში და ეს სიტყვები ალექსანდრე ყაზბეგს ყურში ნემსებივით ესობოდა. იგი ხომ თეატრის ტრფიალი იყო და ამ ძვირფასი საქმის განსაცდელი გულს უთუთქავდა. რეპერტუარის უქონლობამ იგი შემოქმედების ცეცხლით აანთო. წავიდა სოფელში და ოცდაერთი პიესა დასწერა. თვითონ ალექსანდრე ყაზბეგი ამ პიესებზე მის თავდადებულ მუშაობას ასე აგვიწერს:

„1874 წელს მე ვიყავი თბილისში, სადაც განშირებული ლაპარაკი იყო რეპერტუარის უქონლობის გამო. ასევე იყო მიზეზი, რომ თითო-ოროლა სპექტაკლებიც დიდი გაჭირვებით იმართებოდა. და რადგანაც ერისთავისა და ანტონოვის თხზულებათა პიესებს თავი საკმაოდ მოეძულებინათ საზოგადოებისათვის, მე წავიდი შინა, და მოვდექე პიესების წერას, თარგმნას და გადმოკეთებას, მოკლე ხანში შევადგინე ოცდაერთი პიესა და თბილისისაკენ გამოვწიე, დარწმუნებულმა, რომ ქართულს თეატრზე მზრუნველი საზოგადოება სიამოვნებით მიიღებს ჩემს შრომას. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც მადლობის მაგიერ ცხვირწინ ფრუტუნის დამიწყეს და მასხარად ამივდეს“.

ალექსანდრე ყაზბეგი მოელოდა მადლობას და „მასხარად აივდეს“. ეს ორი სიტყვა მის ყველა წერილში გაისმის.

მართალია, თითქმის ყველა ქართველ მწერალს თავისი გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი ჩვენი ნაციონალური თეატრის

განვითარებაში, მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგით მჭიდროდ დაკავშირებული თეატრთან არავინ ყოფილა.

ალექსანდრე ყაზბეგმა ქართული დრამატურგია გაამდიდრა მეტად მნიშვნელოვანი პიესებით, რომლებიც ხშირად იდგმებოდა, როგორც დედაქალაქის ისე პროვინციის თეატრებში. მისი ორიგინალური პიესებიდან საყურადღებო ნაწარმოებია: „გრძნობა და მოვალეობა“, „გამოცდა ნიშნობის წინაღობით“, „ყველაფერი ბედზედ არის“, „ორი ქორწილი ერთად“, „ერთი უბედურთაგანი“, „გულნარა“, „მოძღვარი“, „გიორგი სააკაძე“ და სხვ. ალექსანდრე ყაზბეგის კალამს ეკუთვნის „აღმზრდელები“, სადაც თავისი ოჯახი ჰყავს გამოყვანილი. ეს პიესა ხშირად იდგმებოდა ჩვენს სცენაზე. გარდა ამისა მას ბევრი აქვს გადმოკეთებული და თარგმნილი პიესებიც. მოსკოვში ყოფნის დროს ალექსანდრე ყაზბეგმა ხელი მოჰკიდა გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ და ლერმონტოვის „მასკარადის“ თარგმნას. ამ პიესების თარგმანების ფრაგმენტები სამწუხაროდ არ არის გამოქვეყნებული და მწერლის არქივში ინახება.

ალექსანდრე ყაზბეგმა გადააკეთა პიესად თავისი პოპულარული მოთხრობა „ელისო“, ანზორის როლს თვითონ ასრულებდა. ამ პიესამ დიდი პოპულარობა მოიპოვა თავის დროზე, მაგრამ „ქეთევან წამებულს“ და „არსენას“ დღესაც არ დაუკარგავს ინტერესი. იოსებ გრიშაშვილი, არკვევს რა ა. ყაზბეგის დრამატურგიას; სწერს: „ყველაზე პოპულარული იყო მისი ხამოქმედებიანი დრამა „არსენა“, რომელიც მეტად ორიგინალურ ხაზებშია გაშლილი... ყაზბეგის „არსენა“ დაიწერა სულ ორი კვირის განმავლობაში 1881 წელს და პირველად დაიდგა 1882 წლის 1 იანვარს. „დროებამ“ აღფრთოვანებული წერილი უძღვნა ამ წარმოდგენას და პიესა „თავისის სიმშვენიერით“ ელგუჯას შეადარა... არსენას როლს ყოველთვის თვით ავტორი ასრულებდა“.

ბათუმში ყოფნის დროს ა. ყაზბეგს მრავალი პიესა აქვს დაწერილი. ცალკეული მოქმედებები კიდევაც დაუმთავრებია, მაგრამ განზრახული ბოლომდე ვერ მიუყვანია.

„დურსუნ ბეგ ქობულეთელის“ გარდა ყაზბეგის არქივში ჩვენ აღმოვაჩინეთ ერთი მეტად საყურადღებო ორ მოქმედებიანი ვოდევილი „ბათუმის გმირი“. ამ პიესაში ავტორს განზრახული ჰქონია აესახა მაშინდელი ბათუმი და ბრძოლა ქალაქის მშენებლობისათვის.

საყურადღებოა აგრეთვე ალექსანდრე ყაზბეგის „წერილი რედაქტორთან“, რომელიც შეიცავს შვიდ ფურცელს. იგი დაწერილია ბათუმში, მაგრამ სამწუხაროდ თარიღი არა აქვს დასმული.





ამ წერილში მწერალი ეკამათება კრიტიკოსს და რედაქტორს. იგი ვერ იტანდა აქტიორების აუგად ხსენებას. მაშინდელ გაზეთებში ხშირად იწერებოდა თეატრის ცალკეულ დადგმებზე რეცენზიები. ერთ-ერთი ასეთი რეცენზია ყოფილა მოთავსებული ბათუმელ აქტიორებზე. ყაზბეგი მათ ესარჩლება და სწერს: „თქვენს გაზეთში აღბეჭდილია ჩვეულებრივად ლანძღვა თქვენის აქტიორებისა, აქტრისებისა და ეს ჩვეულებრივი მოვლენა პასუხად არა ღირდა“. მაგრამ მე მაინც იძულებული გავხდი თქვენთვის პასუხი გამეცაო.

და ა. ყაზბეგი დასძენს, თქვენს გაზეთში რომ ასეთი წერილი იბეჭდებოდა „ეგ ჩვენ ბათუმის სცენის მოყვარეთ არ გაგვიგია, თორემ ჭეშმარიტად მის სასარგებლოდ ხელის მოწერას, ან ლატარიას გავმართავდით,“ მერე ხელს აწერს: „ბათუმის მცხოვრები სცენის მოყვარულთაგანი“.

ეგ ფრაზები „ჩვენ ბათუმის სცენის მოყვარეთ“ და „ბათუმში მცხოვრები სცენის მოყვარულთაგანი“ აშკარად ლაპარაკობენ ალექსანდრე ყაზბეგის მოღვაწეობაზე ბათუმში. მწერალი აქ დიდხანს დარჩენილა, რაც როგორც მისი სიტყვებიდან, ისე ნაწარმოებებიდანაც სჩანს.

თავისი უანგარო მოღვაწეობის შესახებ ა. ყაზბეგი თვითონვე სწერს. მოვიყვანოთ მისი ავტობიოგრაფიული მასალებიდან ეს მეტად საგულისხმო ადგილი: „მე ვწერ „მოდღვარს“ და სხვა მოთხრობათა ისე, როგორც ვწერ სათეატრო პიესებს. არც ერთს და არც მეორეს შემთხვევაში არ ვხელმძღვანელობ წადილით უკვდავის სახელი დავიმსახურო. არც ოცნება მიტაცებს ამის შესახებ; სასყიდელი, მატერიალური საშუალება სრულიად არაფერი და ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ მრავლად და უხვად ლანძღვაც კი, მაგრამ მე იმათ არ დავსდევ, რადგანაც ვხედავ, რომ ჩვენს თეატრს რეპერტუარი აკლია, და ვცდილობ დაუწერო რამე, ვწერ, ვმუშაობ მათთვის და იხმარონ ის, რაც გამოსადეგი იყვეს, რაც არა, მათი მომავალი წინადადეგა დააწყვეტილია. მე ვმუშაობ ისე, როგორც გონება გამიწვდება, და ჩემს ხალხს ვაძლევ იმას, რაც შემიძლიან...“

ასე სწერდა და იბრძოდა ა. ყაზბეგი. იგი იბრძოდა ხალხის საკეთილდღეოდ. „ჩემს ხალხს ვაძლევ იმას, რაც შემიძლია“ და მისმა ხალხმა, საბჭოთა საქართველოს მშრომელმა ხალხმა, დიდად დააფასა თავისი საყვარელი ბელეტრისტი.

ალექსანდრე ყაზბეგმა ხალხის სამსახურს შეაღია თავისი მშფოთვარე ცხოვრება. იგი შემოქმედის მაგიდაზე დაიწვა. თავის

ჯერ მთლიანად გამოუქვეყნებელ წერილში მას შესანიშნავი აზრები აქვს გამოთქმული თეატრის დანიშნულებისა და მოვალეობის შესახებ. იგი სწერს ამხანაგს 1):

„ყველას ესმის მნიშვნელობა სწავლისა და განათლებისა. ყველას შეუგნია სარგებლობა, იმ გვარის სახილავისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს შეადგენს დახშულის სულის გასაღებს და მოძრაობაში მოიყვანს კაცის გრძნობას და მის არსებაში ნიადაგს მოამზადებს გონების მუშაობისათვის, შეიყვანს აზროვნებაში და ჩვენის ცხოვრების ავკარგიანობის განხილვის საშუალებას მისცემს... ყველამ იცის მეთქი, ვსთქვი იმიტომ, რომ ავიცილო თავიდან ამ საგანზედ ლაპარაკი და თვით საზოგადოებასაც ავაცილინო თავმოებურება იმ საგანზედ, რომელიც მას უკვე შეგნებული აქვს.

თეატრი არის სარკე ჩვენის ცხოვრებისა, თეატრი არის საშუალება კაცის გონების მოძრაობაში მოსაყვანი, თეატრი არის საჯარო გამოფენა მთელის ქვეყნის გენოსთა ჭკუის მოძრაობა და ცის ჯილდოთი დასაჩუქრებულთა მოქმედებითი გამოხატვა ხალხის წინაშე. თეატრი არის მკაცრი გამკიცხი ბოროტებისა, თეატრი არის დამყვავებელი მშობელი კეთილის და ქვეყნის გამდიდებლის შვილისა. თეატრი არის მსაჯული ყოვლად ძრიელი და წმინდა, მან იცის გრძნობა და კვენესა გულთ მკვენესავთან, იცის გაკიცხვა ძმანზედ უღმრთო გაზვიადებულს დათრგუნვა, თეატრმა იცის გულჩათუთქვილს მიაწვდინოს დიდებული ხმა: „სამშობლოს გაუმარჯოს!“ და ეს ხმა არის ნექტარი ავადმყოფისათვის; ამხელი თვალებისა, გრძნობაში მომყვანი მიძინებულისა და მომგონებელი კაცის ღირსებისა.

შემცდარია და რეგვენობს, ვინც თეატრს მხოლოდ მოწყენილის დროს მოსაკლავს ადგილად უყურებს, თეატრს, რადგანაც მისი სახელი არის: „წმინდა ტაძარი მსაჯულობისა“!...

ცხოვრებაში არ არის საგანი, არ არის საშუალება რომლითაც ისე წმინდათ, ისე საგრძნობლად და თვალსაჩინოდ დაგვიხატოს დიდებულთა მოქმედება და იმ ალტაცებით მოსახსენებლად იძულებული ჰყოთ თქვენთვის თავგანწირულებისა, როგორც სცენა და ყველა, ვინცკი მას სხვა რიგის გრძნობით ეწვევა, ანუ ეხება გულწბილობს სამარცხვინოდ. იგი ჰკარგამს ღირსებას და ადამიანს მის მინიჭებულს ღვთიურობას უკარგავს. თვით თეატრს და მის მნიშვნელობას აკარგვინებს ფერს, წმინდა ტაძარს ხდის გარყვნილების სადგურად.

1. ეს წერილი დიმიტრი ბენაშვილმა გამოაქვეყნა თავის შესანიშნავ წიგნში „ალექსანდრე ყაზბეგი“.



თეატრი, ნაციონალური თეატრი საერო საქმეა, საერო სიწმინდე და ვინც მას შეეხება უწმინდურად ისა ღალატობს თეატრთან ერთად, თვით ხალხოსნობას...

ასეა თეატრი საზოგადოთ, ასე დიდებული დანიშნულება აქვს მას ხალხისათვის, საზოგადოთ და ქართველებისათვის-კი“...

ასევე საყურადღებოა ვასო აბაშიძისადმი მისი წერილიც, რომელიც დიდი არ არის და უადგილო არ იქნება აქ მთლიანად მოვიყვანოთ.

„ბ. აბაშიძე!

შარშან, სწორედ ამავე დროს, როდესაც გათავდა სეზონი, ჩვენს სათეატრო ცხოვრებაში იწყობოდა ხელახლად გაღვიძებულის, ასე წოდებულის დრამატიულის საზოგადოების მთავრობა იღვიძებდა. დიდის ხნის ობლობის და უპატრონობის შემდეგ თეატრს პატრონი უჩნდებოდა და მუნ მოსამსახურეთ სიხარულს აღუძრავდა ფიქრი, რომ თეატრს უჩნდებოდა მზრუნველი, მისი საქმე საზოგადოების ხელში უკეთ წავიდოდა.

იმ ხანაში, ერთის წარმოდგენის დროს, მთლად არტისტების ამხანაგობამ მომანდო გამომეცხადებინა თქვენთვის ბ. აბაშიძე, — მადლობა, იმ მოცადინეობისათვის, რომელიც ჩვენს ამხანაგობის დროს გამოიჩინეთ.

მე აღვასრულე მათი თხოვნა, თუმცა ამ გვარის მოქმედების წინააღმდეგი ვიყავ. ვარ ეხლაც და შემდეგშიაც დავრჩები. კაცი თავის მოვალეობის აღსრულებას როდესაც უახლოვდება, ანუ სრულის სრულიად აღსრულებს, ის ხდილობს თავის ვალს, ამტკიცებს კაცობრიობის წესსა და სამსახური საზოგადოებრივს საქმეში კაცისაგან ვალის შესრულებაა და სხვა არაფერი. მე ვერ ვიკისრებდი ვერასოდეს კაცისათვის მეთქვა შენ ადამიანი ხარ და გმადლობთ რომ ადამიანად იქცევით, შენ ლიტერატორი ხარ და გმადლობთ რომ ჭორებს არ მისდევთ, შენ აქტეორი ხარ, ნიჭი გაქვს და გმადლობთ რომ კარგად თამაშობთ, მაგრამ ამ ჩვენს სამწუხარო დროში, როდესაც კაცობრიობა იქამდის გაირყვნა, რომ ადამიანის ადამიანად მოგცევა სამადლობლად გაგვიხდა, მეც იძულებული შევიქენ როგორც პირველში, ეხლაც გითხრა რამდენიმე სიტყვა. თუმცა მაინცა და მაინც მწადის თავიდგან ავიცდინო ის ჩვეულებრივი კილო რომელიც ამგვარ შემთხვევებში მიღებულია ხოლმე. მადლობის მაგიერ მე გეტყვი გულით და რწმუნებით უნი-



ჭიერესო არტისტო! მამილოცავს შენთვის, რომ შესძელ ათის წლის განმავლობაში გაძლება, იმ ტლაპოდ გადაქცეულს ხალხს შემოხვეულმა, რომელიც შეადგენენ ჩვენის საზოგადოების ხელში საგომანებელს კონას.“

ეს ორივე წერილი ჩვენ მთლიანად იმიტომ მოვიყვანეთ, რომ მასში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უშუალოდ გამოთქმულია ა. ყაზბეგის აზრი თეატრზე, რაც ყოველმხრივ მისაღები და სახელმძღვანელოა. ა. ყაზბეგის ეს შეხედულებანი საოცრად ემთხვევა უილიამ შექსპირის აზრს თეატრის შესახებ. შექსპირი, ეს მსოფლიო თეატრისა და დრამატურგიის დიდი რეფორმატორი, თავის დროზე სწერდა: „თეატრის აზრი უწინაც ეს ყოფილა და დღესაც ეს არის, რომ ბუნებას სარკედ გაუხდეს, სათნოებას მისი სახის მეტყველება აჩვენოს, მიწიერებას მისი უმსგავსოება, დროებასა და ხალხს—მათი ვითარება და ნაკვალევი—თუ ეს დანიშნულება ვერ შეასრულა, ან თუ გადაამეტა, იქნებ რეგვენები გააცინოს, მაგრამ გაგებულ ადამიანს კი შეაწუხებს და ერთი გაგებულის შეხედულება უნდა გვერჩივნოს მთელი თეატრისას“.

ალექსანდრე ყაზბეგს ქართული თეატრის განვითარების საქმეში უდიდესი დამსახურება მიუძღვის. მან თითქმის მთელი თავისი შინაარსიანი სიცოცხლე ქართულ თეატრსა და დრამატურგიას შეაღია. დიდია მისი ღვაწლი ბათუმის თეატრში. იგი მეცხრამეტე საუკუნის პირველი ქართველი მწერალია, რომელიც ასე თავგამოდებით მუშაობდა აჭარის თემაზე.



საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილების ერთერთ კარადაში დაცულია ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებთა მთელი შეკვრა. მასში არის უბის ორი წიგნაკი, რომლის ფერგადასულ ფურცლებს ავსებენ დიდი ბელეტრისტის ლექსები. ერთ წიგნაკს აწერია:

„მოხევის სიმღერები. ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა). 1886. ბათუმი.“ \*

ამ წიგნაკში მოთავსებულ ნაწარმოებთა შორის საყურადღებოა ლექსი „კალამს“, რომელშიც, მსგავსად აკაკის „პოეტისა“, განსაზღვრულია ერის წინაშე მწერლისა და მწერლობის დანიშნულება. ყაზბეგს „კალამი“ წარმოდგენილი აქვს, როგორც „დაჭრილი გულის მალამო“ და სწამს ამ ბასრი იარაღის სიწმინდე.

მიყვარხარ ჩემო კალამო!  
 არ მოგეწყინა წერაო.—  
 გულით მსურს მოგესალამო,  
 შენი სიწმინდე მჯერაო.  
 შენ გეტრფი გრძნობის ალამო,  
 მტერმა ვერ შეგაჩერაო,  
 დაჭრილის გულის მალამო,  
 ჩემი ხარ ბედისწერაო.

ამ ლექსს გვერდზე მიწერილი აქვს ერთი ტაეპიც, რომელიც არსებითად მის გაგრძელებას წარმოადგენს.

შენთან სალამმა, ქალამმა  
 მრავალი გააშტერაო  
 არ ვნაღვლობ შენმა ძალამა  
 მრავალი გადმიშტერაო.

ამ უკანასკნელი ტაეპით ალექსანდრე ყაზბეგმა თავისი საბრძოლო სიტყვა ერთხელ კიდევ გადაუკრა იმ კრიტიკოსებს, რომლებიც უსამართლოდ ექცეოდნენ მის ნაწარმოებებს.

„მოხევის სიმღერაში“ მოთავსებულია დრამატული პოემის

\*) ზოგიერთი ლექსი მოგვეყვას მთლიანად, როგორც ფართო საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი.



„მთა და მთიელის“ ნაწყვეტი და ლექსები, მიძღვნილი ყაზბეგთან ერთად გასტროლებზე მონაწილე მსახიობებისადმი. ყაზბეგი აღწერს საქართველოს ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობის სიძნელეებს და იქვე, გადმოგვცემს ცალკეულ მსახიობთა განწყობილებადახასიათებას.

„ალავერდი“ იმ დროს ფრიად გავრცელებული სიმღერა იყო. ჩვენ არ შევეხებით ამ სიმღერისა და მისი ტექსტის სხვადასხვა ავტორებს, მაგრამ ვიტყვით იმას, რომ ყაზბეგს ამ თემაზე საკუთარი ლექსიც დაუწერია, რომელსაც ალბათ ხშირად კითხულობდა წარმოდგენა-სალამოებზე. ბათუმის წიგნაკში მოთავსებულია მისი ლექსი „ალავერდი“.

ყმაწვილებო!.. ცას შევსთხოვოთ  
 დღე დაგვიღვეს სანატრელი,  
 ხმალმა მზეში გაიღღვოს  
 იქმნას ჭავრის ამომყრელი.  
 გადვიღელოდ ბრძოლად მკერდი.  
 ვინც მოკვდება კაცად მოკვდეს  
 ძმას ეძახდეს: ალავერდი!  
 ცა გაბრწყინდა, მოკამკამებს.  
 ნათელია მისი შუქი.  
 მისი ძალა გრძნობით სავსეს,  
 ვით გაუძღვებს შავი ბუქი?..  
 მაშ ჩვენ მუნ შევებნეთ  
 უღელს მივცეთ ჩვენი ქელი  
 ვინც კი ძმობას არ დალატობს  
 მან იცოცხლოს... ალავერდი!..  
 რაღას მარგებ თუ ყმაწვილივ  
 ჩაჩუმდი და ჩამობერდი?  
 ვინც ხალისით საქმედ შრომობს  
 მან იცოცხლოს! ალავერდი.  
 ვინც სულს დაღვეს მის კაცობას  
 გვიმოწმებდეს მისი მკერდი  
 და მის სახელს საუკუნოდ  
 ახსენებენ—ალავერდი!..

„კალამის“ მოტივზე ალ. ყაზბეგს დაუწერია მეორე ლექსიც—  
 „ჩემს რვეულს“. ეს ლექსი საყურადღებოა იმიტ, რომ აქ მწერალი ამკარად ქადაგებს ხალხთა მეგობრობას და სიყვარულს.



რვეულო! მე, რო მოგვცდები,  
 შენ ხო დარჩები ამიერ,  
 გემუდარები უმღერე  
 ერთობას—„მრავალ ჟამიერ“.  
 „ხალხს ერთმანეთი გიყვარდესთ“  
 ჩასძახე ყოველ წამიერ!

ლექსების კრებულის მეორე წიგნაკის გარეკანს თვით ალექსანდრე ყაზბეგის მიერ აქვს შემდეგი წარწერა:

„რვეული მეორე. მოხვეის სიმღერები. თხზულება მოჩხუბაროძისა (ყაზბეგისა). 1886. ბათუმი“.

ეს მეორე რვეული არ არის შევესებული. მასში უფრო ისტორიულ პიროვნებებისადმი მიძღვნილი ლექსებია მოთავსებული და ორიოდ სატრფიალო მოტივზე დაწერილიც.

საყურადღებოა ლექსი „არ გეტირებათ!“ მიბაძვა „სახალხო სიმღერისა“. ლექსი ენება ერეკლე მეფის გარდაცვალებას.

არ გეტირებათ ქართველნო,  
 მოგვეხსნა რკინის კარია,  
 აღარ გვყავს მეფე ერეკლე  
 ბაგრატიონთა გვარია,  
 გაგვშორდა ჩვენი პატრონი  
 ჩამოგვეცალა მხარია,  
 მთავ ბუმბერაზო, ატირდი,  
 აღარ გვყავს ღალი ხარია,  
 ცასაც კი შავი ჩაუცვამს  
 მოჭქუსს, დგრიალეზს ქარია.

სატრფიალო ლექსებიდან მოვიყვანთ ერთს.

### ლ ა მ ა ზ ს

ლამაზო! ნეტა ვიცოდე  
 შენ აგრე უნდა იავო?  
 რა იქნებოდა, რომ ერთხელ  
 დამწვარს გულს მოუნიავო?

ასეთია, ბათუმში შედგენილ მოხვევთა სიმღერების ორივე წიგნაკის ზოგიერთი ლექსი.



ბათუმში ყოფნის დროს ალექსანდრე ყაზბეგი დიდ საზოგადოებრივ და ბელეტრისტულ მოღვაწეობასთან ერთად ნაყოფიერად მუშაობდა ლექსებზე. მას ალბათ დიდხანს უცხოვრია ბათუმში, რომ ამდენი ლექსები, მოთხრობები და პიესები დაუწერია.

ალექსანდრე ყაზბეგის ოჯახში ლექსის წერის, პოეტური კულტურის დიდი ტრადიცია იყო. თვით ბელეტრისტის დედა, რომელიც თავისი დროისათვის მეტად განათლებული ქალი იყო, სწერდა ლექსებს. მწერლის არქივში შენახულია მისი დედის ექვსი ლექსი. ერთ-ერთ ლექსში დედა ნატრობს: „კვლავად მაჩვენე ალექსანდრე ცოლით და შვილით“.

როგორც ალექსანდრე ყაზბეგის თანამედროვეთა მოგონებებიდან ჩანს, იგი ბავშვობიდანვე სწერდა თურმე ლექსებს. ამავე დროს აგროვებდა ხალხურ ლექსებსაც და ზღაპრებს.

ზაქარია ჭიჭინაძე სწერს, რომ ალექსანდრე ყაზბეგმა „დაიწყო პატარ-პატარა ლექსების წერა და მალე დიდრონი ლექსებიც მიაცოლა. უნდა ითქვას, რომ მან ისეთი ლექსების წერა დაიწყო, რაც ქართულ საზოგადოებას ერთობ მოსწონდა. მალე მისი ლექსთა კრების წიგნიც დაიბეჭდა წარწერით „მოხვევის ლექსები“. ამ დაბეჭდილს წვრილს ლექსებს გარდა, რამდენიმე დიდი ლექსიც დაიბეჭდა და ერთი მათ შორის ლექსი „გუთნის დედა“, გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა, რომლის მშვენიერებამაც მიიზიდა მრავალთა გული“.

ბათუმის მშვენიერმა ბუნებამ, მუდამ მწვანე მიდამომ და მოგუგუნე ზღვამ ბიძგი მისცა მის პოეტურ აღმაფრენას და მოხვეური ლექსების ორი წიგნაკი შეადგენინა.

ალექსანდრე ყაზბეგი ერთ-ერთ ლექსში უმღერის ახალ, ბედნიერ დროს მოსვლას. იგი სწერს:

მოვა დრო, დაჩაგრულები  
 მამაცად მოიქცევიან,  
 ერთის წადილით შეკრულნი,  
 ერთ ნდომად გადიქცევიან;  
 გრგვინვად ატყდება ყიჟინა,  
 მშიშარნი გაიქცევიან,  
 ქვითკირნი შედუღებულნი  
 ჩაინგრევ-ჩაიქცევიან.



— 1 —

მოვა დრო, ნანგრევთა შორის  
მდღელნი აყვავდებიან,  
მშობლისგან თავის ნაშრომი  
მშობლურად აღიზრდებიან;  
ფრინველები ბარტყებს დახრეკენ,  
ჭიკჭიკით დაფრინდებიან,  
ქვეყნის ნუგეშად მნათობნი  
ლაყვარდში გაბრწყინდებიან.

— 1 —

მოვა დრო ძლევა-მოხილი,  
ქართველთა შორის ამიერ  
კილით-კიდემდე გაისმის  
კახური მრავალ-ჟამიერ!  
იტყვიან: „გამხიარულდი,  
ქართველო, ყოველ წამიერ,  
გული ფოლადად ნაწრთობი,  
იცოცხლებს მრავალ-ჟამიერ!..“

დადგა ეს სანატრელი დროც!.. ყაზბეგის სამშობლო საქართველო ბედნიერი და საამური ცხოვრების მშენებლობის ფართო გზაზეა გამოსული. იგი აღნიშნავს დღეს თავისი საყვარელი მწერლის დაბადების ასი წლისთავს. ამ კულტურული მემკვიდრეობისადმი საბჭოთა ხალხის განუზომელი სიყვარულის საერთო სახალხო დღესასწაულში მართლაც „კილით კიდემდე გაისმის კახური მრავალ-ჟამიერ!..“

## VII

ბათუმი. სექტემბერი. შემოდგომის სუსხი მოახლოვებულია. დილა-სადამოს კიდევაც ცივა. ზღვა ღუნეა, თბილი. სადამოობით ზღვაური ხშირად წამოიჭროლებს ხოლმე და ჭკნობაში შესულ ფოთლების სურნელს აფრქვევს.

სწორედ შემოდგომის ასეთ დროს, 1882 წელს ჩამოვიდა აქ ოცდაერთი წლის ახალ წვერულვამაბუსუსებული ოფიცერი. თუმცა ბედი დიდი მომავლისაკენ მიაქანებდა, მაგრამ პატარა ტანის იყო, კაფანდარა და სამხედრო ტანისამოსში სულ პატარა ჩანდა. ქალაქში მისი ჩამოსვლა არავის გაუგია. სამხედრო ნაწილში სიხარულით მიიღეს.

ეს ოფიცერი დავით კლდიაშვილი იყო.

მას არ მოეწონა ქალაქი. აბა რა მოსაწონი იყო, როცა ბათუმი მაშინ უფრო სოფელს ჰგავდა, ვიდრე სანავსადგურო ქალაქს. არც ერთი რიგიანი ქუჩა არ იყო, ყველგან ჭაობი ყარდა და მალარია ადამიანებს უხამავდა.

ბათუმში ამ პირველ ჩამოსვლას, უკვე ღრმად მოხუცი და დიდებით მოსილი მწერალი თავისი დაუცხრომელი ცხოვრების მოთხრობაში ასე აგვიწერს:

„ბათუმი მაშინ პორტო-ფრანკო იყო; პატარა ქალაქი, ოთხი-ათასი მცხოვრებით. ქალაქი, თუ კი შეიძლებოდა მისი ქალაქად წოდება, მდებარეობდა ზღვის პირად; ზღვის პირადვე იყო ბაზარი, პატარა დაბალი ქოხმანები—ვითომ მალაზიები; რამდენიმე ქუჩა ვიწრო და მოუკირწყლავი. ქალაქის გარშემო გაბნეული იყო ფაცხები, რომლებშიაც ცხოვრობდნენ აფხაზები და ზოგან ზანგები. ახლა რომ რკინის გზა მიდის ქალაქში, ეს ისეთი მოშორებული ადგილი იყო, რომ მარტოდ აქ წასვლა საშიშარი და სარიდებელი იყო დღისით, სადამოთი კი პირდაპირ შეუძლებელი; გამბედავს არაფერი სიკეთე მოელოდა,—ან გაძარცვავდნენ, ან დასჭრიდნენ, ანდა მოკლავდნენ ხოლმე. სადაც ეხლა კათოლიკების ეკლესიაა, იქ იყო განიერი ტბა სავესე გარეული ფრინველებით და იქ იცოდნენ სანადიროთ წასვლა. ტბის გადაღმა დასავლეთისკენ იყო უდაბური ტყე. ზღვის პირზე ამართული იყო ორი დიდი ბატარეა—ბურუნტაბიე, რომელიც დღესაც არსებობს, ოღონდ გადაკეთებული; და მეორე სარი-სუ, რომელიც ათხარეს, როცა ნავთსადგურს დაუწყეს შენება. სარი-სუს მახლობლად, პორტო-ფრანკოს ხაზის გადაღმა, აშენებული იყო როტმილდის ნავთის ქარხნის შენობები.

ქალაქის გარშემო ადგილები ჭაობებით იყო დაფარული, ძლიერ ნაკლებად იყო სოფლებიც და რაც იყო, ისიც პატარები და მცხოვრებთა მცირე რიცხვით“.

ასე აგვიწერს ამ ნახევარი საუკუნის წინანდელ ბათუმს დავით კლდიაშვილის მახვილი კალამი.

ბათუმმა, როგორც ქალაქმა, განსაკუთრებით სწრაფი განვითარება დაიწყო იმ დღიდან, როცა იქ პირველად ორთქლმავალმა მიაკვილა. ეს იყო 1883 წელს. იგი რკინიგზით შეუერთდა თბილისს. აქედან იწყება ბათუმის ისტორია, რომლის ფერგადასულ ფურცლებზე ვკითხულობთ:

...დაიწყო უდაბური ტყეების გაჩეხვა. ბათუმისა და მის მიდამოებში დასახლების მსურველებმა გააჩაღეს სააგარაკო სახლების მშენებლობა. „მწვანე კონცხი“ და მახინჯაური მოიფინა სახლებით.

მაგრამ მიუხედავად ამ ცხოვრების ჩქარი დინებისა, ქალაქში მაინც გართობა არ იყო და სრული მოწყენილობა სუფევდა. ამ დამაღონებელ მოწყენილობას მაშინდელი ბათუმელები თავს აღწევდნენ სამხედრო პარადის ცქერით. ეს ყოფილა ერთადერთი გასართობი. აი როგორ ეწყობოდა ეს პარადი. ამის შესახებ ისევ მიგმართოთ დავით კლდიაშვილს, იგი სწერს:

„ჩემი ნაწილის უფროსი იყო პოლკოვნიკი ვეზირიშვილი; ცოლად ჰყავდა პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის და; უკანასკნელს არაფერში ეტყობოდა დიდებული ძმის ნათესაობა; თვით ვეზირიშვილი კი ახირებული ადამიანი იყო: თავის ნაწილს ისე უყურებდა, თითქო ეს მისი ყმები იყვნენ. სამსახურის შესახებ არა იცოდა რა. უყვარდა პირადობა და რადგან ბათუმში არაფერი გასართობი იყო, ყმაწვილი ქალები ჩააცივდებოდნენ ხოლმე ვეზირიშვილს გამოეყვანა ბათალიონი სავარჯიშოთ—საპარადოდ. ვეზირიშვილიც უსრულებდა მათ თხოვნას,—გამოჰყავდა როტები და ამათ წინაშე ცერემონიალით არონინებდა წინ და უკან.“

მაგრამ ეს ვეზირიშვილის პარადებიც მოსწყინდა ხალხს და საგასტროლოდ თბილისიდან ქართული დასი მოიწვიეს. ამ დასში მაშინ შედიოდნენ ქართული სცენის ოსტატები: ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, მარიამ საფაროვ-აბაშიძისა, ქეთო ანდრონიკაშვილი და ალექსანდრე ყაზბეგი.

ბათუმში მაშინ თეატრისათვის შესაფერისი შენობა არ იყო. წარმოდგენები იმართებოდა ერთ პატარა სახლში, რომელიც მხოლოდ ასამდე მაყურებელს თუ დაიტევდა. თეატრს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. მაყურებლები ყოველ წარმოდგენას აღფრთო-



ვანებული ხედებოდნენ. ბათუმელებს განსაკუთრებით ხიბლავდა ალექსანდრე ყაზბეგის ხანჯლით ცეკვა.

ალექსანდრე ყაზბეგი მაშინ სახელგანთქმული მწერალი იყო. მას გამოქვეყნებული ჰქონდა ქართული პროზის შედეგები: „მოხევეები და იმათი ცხოვრება“, „ელგუჯა“, „გადაკარგული მხარე“, „მამის მკვლელი“, „ციცკა“, „ხევის ბერი გოჩა“, „ელეონორა“ და სხვ.

დავით კლდიაშვილი, რომელიც მწერლობის გზაზე გამოსასვლელად ემზადებოდა, მაშინვე ეახლა ყაზბეგს, გაეცნო და მალე მათ შორის მეგობრობაც დამკვიდრდა.

დავით კლდიაშვილი სცენაზეც კი გამოვიდა ალექსანდრე ყაზბეგთან ერთად, რასაც მის მემუარებში სიამოვნებით აგვიწერს:

„ერთხელ სცენაზედაც კი გამოვედი მათთან, როცა მოთამაშე დააკლდათ. დადგეს დავ. ერისთავის „სამშობლო“ და მათამაშეს გოგია დიაკვანი. ახლა წარმომიდგენია რა გოგია ვიქნებოდი ქართულის უხეიროდ მოლაპარაკე, შიშით შეპყრობილი, სცენაზედ გამოუცდელი ყმაწვილი! სანდრო ყაზბეგი თამაშობდა სიმონ ლეონიძეს. მესამე მოქმედებაში გატაცებით რომ მიმართავდა მეტეხის ციხეში თავმოყრილ შეთქმულებს, მე შიშისაგან დაბნეულმა წამოვავლე ხელი ბაირაღს და გაველი სცენაზედ და სანდროს მივაჩხირე ბაირაღი. გაცეცხულმა სანდრომ სათქმელი არ შესწყვიტა, გამომართვა ბაირაღი, გაიტანა გარეთ, მეც უკან გავყევი დარცხვენილი, რომ ასე უდროოდ დროს შევიჭერი სცენაზე და ასეთი სიბრძნე ჩავიძინე. ეს იყო და ამის შემდეგ არტისტებთან აღარ გამოვსულვარ სცენაზედ არასოდეს—ისე დამარცხვინა ამ შემთხვევამ. წარმოდგენებს ქართველი საზოგადოება დიდის ხალისით ესწრებოდა—რაც გასაკვირი არ იყო, რადგან თამაშობდნენ ისეთი მსახიობები, როგორც მარ. საფაროვი-აბაშიძისა, ვასო აბაშიძე და ლადო მესხიშვილი. მესხიშვილს საოცარი ლამაზი, ტკბილი ხმა ჰქონდა—ბარიტონი და მის სიმღერას ალტაცებაში მოჰყავდა მსმენელი. მშვენიერი წერიალა ხმა ჰქონდა საფაროვი-აბაშიძისასაც და როცა ამათთან ჩამოვიდოდა ხოლმე ნატო გაბუნიაც, მაშინ ესენი თამაშის გარდა საზოგადოებას ხიბლავდნენ თავიანთი სიმღერებით. ძრიელ იზიდავდა საზოგადოებას აგრეთვე ქეთო ანდრონიკაშვილის ლეკური; ლეკურს ანდრონიკაშვილისა განსაკუთრებული მოხდენილობით ცეკვავდა. ხანჯლებით ლეკურის პირდაპირ გიჟური მოთამაშე იყო სანდრო ყაზბეგი.“

ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობებს დავით კლდიაშვილი აღ-



ტაცებაში მოჰყავდა. დასის გამგზავრების შემდეგ დავით კლდია-  
შვილს წაუკითხავს „განკიცხული“. ამ მოთხრობით აღფრთოვანე-  
ბული ყაზბეგს ბათუმიდან სწერს:

„დიდად პატივცემულო ალექსანდრე მიხეილის-ძე!  
გულწრფელად მოგესალმებით.

თქვენი „განკიცხული“ მშვენიერებაა, რომელიც ყველა ქართ-  
ველს უფლებას გვაძლევს ვსთქვათ: „ყველაფერი არ მოკვდა  
ჩვენში, ჩვენ კიდევ ვცოცხლობთ და დიდხანს ვიარსებებთ“.

დაწაფებით და დახარბებით წავიკითხე ეს საუცხოვო ნაწარ-  
მოები, რამდენი ნაცნობი სოფიო წარმოსდგა ჩემს წინაშე! რამდენი  
საწყალი ტანჯული მარი აღსდგა მეხსიერებაში! თქვენი მარი,  
თუმცა, უფრო ბედნიერია სხვებზე; მრავალი მათგანი იქცა უუფ-  
ლებო არსებათ, ტირანთა აუტანელ ავტორიტეტის ბრმა იარაღთ.  
თქვენი მარი სულიერად ძლიერია, ის, რამდენადაც ძალა შესწევს,  
იბრძვის,—თუმცა ყველა ბრძოლაში მარცხდება; მაგრამ მასში  
ძლიერი სულია, დაუდგომელი; ის ვერ ეტევა იმ ვიწრო ჩარჩოში,  
რომელშიაც მისი მომწყვდევა სურთ. დიად, ქართველ ქალს, გან-  
საკუთრებით ახალი თაობისას, არ შეეძლო სოფიოს მონა გამხდარ-  
იყო, ეს უგულო, უზნეო დედაკაცი ვერ დაიმორჩილებს თავის  
დღეში ვერც ერთ მარის, როდესაც ამ უკანასკნელს იმისთანა მომ-  
ხრე ყავს, როგორც ლევანი; პატიოსანი, ჭკვიანი, პრინციპის კაცი,  
—ლევანი ყოველთვის იქნება მფარველი სუსტის ძალით მარის.  
მე ვგონებ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ძალიან დავალებულია მწერ-  
ლისაგან, რომელმაც დახატა ისეთი ტიპები, როგორც ლევანი და  
მარი. ღმერთმა ქნას რომ ეს ვალი კიდევ გადიდდეს, ყოველ წლივ  
გვემატებოდეს მაგნიირი ვალები! დაე გულზე გასკდნენ სოფიო  
და პორფირუშკა, რომ მათი ვინაობა დაუფარავად გამოაშკარავ-  
დეს, რომ პირველის უკიდურესი, უსაზღვრო ეგოიზმი, გარყვნი-  
ლობა, უზნეობა, უგულობა ისრე ცხადი შეიქმნა; მეორემ თავისი  
დღე ინანოს, რომ ქვეყანამ შეიტყო (ამისი ხომ ეშინოდა) მისი უზა-  
სიათობა, მისი სიღამბლე, მისი ტვინთხელობა. მე გამახსენდა ან.  
ფურცელაძის „ვაი მართალთა“. მას ისევე ტემა აქვს რაც „განკი-  
ცხულს“, მაგრამ ხელობა, ხელობა, ხელობა და ხელობა... სად

„ვაი მართალთა“, სად „განკიცხული“!? ძალდატანებამ, არაბუნებრიობამ გააფუჭა ყველაფერი „ვაი მართალთაში“. დიად, მხატვრობით, რეალობით და ტიპიურობით იტაცებს მკითხველს „განკიცხული“. გაუმარჯოს „განკიცხულს“, გაუმარჯოს მის დამწერს, მრავალყამიერ!

ალექსანდრე მიხეილისძე, გთხოვთ უარს ნუ მეტყვიით და მაცნობეთ შინაარსი ორი გამოტოვებული თავისა; იმედი მაქვს უარს არ მივიღებ. იმედი მაქვს, რომ ნათაძის სახელზე ან პირდაპირ ჩემ სახელზე მოვა წერილი, რომელიც დააბოლავებს იმ აღმოუფხვრელ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ჩემზედ და სხვებზედ აქაურობაზედ „განკიცხულმა“, თუ არ გეწყინებათ იმასაც მოგახსენებთ, რომ თქვენს ნაწერებში, რომლებიც მე თითქმის ყველა წაკითხული მაქვს, ერთი ვერ აჯობებს „განკიცხულს“, „განკიცხული“ ჭეშმარიტად, წმინდა ნაწარმოებია უმაღლესი მხატვრობისა და წმინდა ხელოვნებისა. ღმერთმა ქნას, რომ ამისთანა თხზულებები ხშირად ჩნდებოდნენ ჩვენს ლიტერატურაში. უფალმა გააძლიეროს ყოველი მარჯვენა, რომელიც ასრე ასაჩუქრებს თავის ქვეყანას.

თუ თხოვნას ამისრულებთ და ისრე დამავალებთ გამოშვებულ თავების შინაარსს, ძლიერი მადლობელი ვიქნები. ჩემი ადრესი „ივერიის“ რედაქციასია. შეგიძლიათ წერილი ჩადოთ „ივერიის“ ჩემს ნომერში და ისრე გამომიგზავნოთ. სულით და გულით ველი, დარწმუნებული ვარ უარს არ მივიღებ.

ვმთები თქვენი შარადის პატივისმცემელი.

დავით კლდიაშვილი“.

14 აპრილს 1884 წ.

ქ. ბათუმი.

ამ წერილის პასუხი ალექსანდრე ყაზბეგს არ დაუყოვნებია, მაგრამ იგი, როგორც სერგო კლდიაშვილი აღნიშნავს, დაკარგულია. დაკარგულია ალექსანდრე ყაზბეგისა და დავით კლდიაშვილის ბათუმში გადაღებულ სურათთან ერთად. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ამ წერილის შინაარსმა, რომელიც დავით კლდიაშვილს თავის მემუარებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ მოჰყავს:

„აღტაცებულმა მისი მოთხოვნის „განკიცხულის“ წაკითხვით, მე გავგზავნე წერილი და სანდროსაგან მივიღე მაგიერი, რომელშიც იგი სწერდა: ნეტავი შენისთანა თანამგრობობი შემატებულად მყავდესო; ბევრი ისევე მექცევა, თითქო არც კი ღირდეს ჩემი ნაწერის კითხვა“...

ალექსანდრე ყაზბეგის ეს სევდიანი სიტყვები გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მაშინდელი მთელი რიგი კრიტიკოსები (ილია ხონელი, იონა მეუნარგია) სრულიად უმართებულოდ მსჯელობდნენ მასზე.

როცა ალექსანდრე ყაზბეგი ბათუმში იყო, ილია ხონელმა „დროებაში“ მოათავსა მის შესახებ ვრცელი წერილი. ეს უმართებულო წერილი ყაზბეგს რომ წაუკითხია, უტირნია. ამის შესახებ დავით კლდიაშვილი თავის მემუარებში სწერს: „მე ჩემი თვალთ მიწახაგეს როგორ სწერდა იგი თავის დრამას: „ქეთევან დედოფალს“, როცა ბათუმის 'სასტუმრო 'ევროპის' ნომერში სცხოვრობდა. ბევრი უსამართლოდ ექცეოდა სანდროს და ხანდახან ცხარე ცრემლითაც ატირებდნენ მას. ერთხელ „დროება“-ში საოცარი ენით გალანძღა იგი, მიწასთან გაასწორა რომ იტყვიან, როგორც პიროვნება, როგორც მწერალი,—ილია ხონელმა. ძლივს დავაწყყნარეთ საწყალი სანდრო, როცა ტირილი აუვარდა ფელეტონის წაკითხვის შემდეგ.“

— ალბათ ვანო მაჩაბელი არ არის ტფილისში,—ის არ მისცემდა ნებას ასე-რიგად გაველანძღე ხონელს. დღეს მლანძღვენ, მიწასთან მასწორებენ ზოგიერთნი, მაგრამ მე, მწამს, რომ მოვა ისეთი დრო, როცა ჩემს სახელს სხვანაირად ახსენებენ!—სთქვა სანდრომ.“

ეს დროც მოვიდა.

ალექსანდრე ყაზბეგის სახელს სტალინური დროის საქართველო სიყვარულით ახსენებს.



რედაქტორი

ა. კელენჯერიძე



ყდა—მხატვარ ს. პუტკინისა.

ტექ. რედაქტორი ს. ტულუში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1948 წ. 21|IX. ანაწყოების ზომა 6X9. წიგნის მოცულობა 2,6 საეტიკო და 3 სასტამბო ფორმა. შეკვეთის № 3055. ემ 00008-ტირაჟი 5,000.

აკარის ასსრ ადგილ. მრეწველობის სამინისტროს ქვლაქის სამრეწველო კომბინატის სტამბა-ლითოგრაფია.



ფაგ 4 836.



Климентий Гогинава  
АЛЕКСАНДР КАЗВЕГИ  
В БАТУМИ

На грузинском языке

ГОСИЗДАТ АДЖАРИИ  
Батуми, 1948 г.